

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-02/44

ქ. ბათუმი

28 თებერვალი, 2023 წ

ბსუ-ს შენობების (კორპუსების) საგანგებო მართვის გეგმების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის, „ბსუ-ს სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების (კორპუსების) ნუმერაციის შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 15 სექტემბრის №01-10/77 ბრძანების, „ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 თებერვლის N07-01/07 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 11 ნოემბრის N01-02/266 ბრძანების, ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2022 წლის 22 დეკემბრის №1643035 სამსახურებრივი ბარათის და „ბსუ-ში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ინსტრუქციისა და საევაკუაციო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 06 ნოემბრის №01-11/89 ბრძანების (ცვლილება - ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 11 იანვრის N01-10/02 ბრძანება), „ბსუ-ს შენობების (კორპუსების) საევაკუაციო გეგმების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 17 თებერვლის N01-10/18 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ბსუ-ს სარგებლობაში არსებულ ტერიტორიაზე და შენობებში (კორპუსებში), ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან ბსუ-ს სტუდენტთა, პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის (აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე თანამდებობის პირები და შრომითი ხელშეკრულებით მოწვეული პერსონალი: არასამტატო პოზიციებზე დასაქმებული დამხმარე პერსონალი, მასწავლებლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები) დაცვის ეფექტურად განხორციელების, სასწავლო და სამუშაო გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით დამტკიცდეს ბსუ-ს შენობების (კორპუსების) საევაკუაციო გეგმები წინამდებარე ბრძანების დანართების შესაბამისად:

ა) დანართი N1 - საგანგებო მართვის გეგმა ბსუ-ს N1-3 კორპუსებისათვის (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. N35/32);

ბ) დანართი N2 - საგანგებო მართვის გეგმა ბსუ-ს N4 კორპუსისათვის (ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №12);

- გ) დანართი N3 - საგანგებო მართვის გეგმა ბსუ-ს N5 კორპუსისათვის (ქ. ბათუმი, გრიშაშვილის ქ. №5);
- დ) დანართი N4 - საგანგებო მართვის გეგმა N6 და N7 კორპუსებისათვის (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15, პროფესიული პროგრამების მართვის და უწყვეტი განათლების ცენტრი - VI კორპუსი და საერთო საცხოვრებელი - VII კორპუსი);
- ე) დანართი N5 - საგანგებო მართვის გეგმა ბსუ-ს N8 კორპუსისათვის (ქ. ქობულეთი, ჰეიდარ აბაშიძის ქ. №26 - VIII კორპუსი).

2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი 2023 წლის 23 თებერვლიდან „ბსუ-ს საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 12 ოქტომბრის №01-02/238 ბრძანება.

3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30), მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი



მერაბ ხალვაში

„დამტკიცებულია“
ბსუ-ს რექტორის 2023 წლის
28 თებერვლის
№ 01-02 / 44
ბრძანებით
(დანართი N1)

„შეთანხმებულია“

შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება –
საგანგებო სიტუაციების მართვის
სამსახური

წერილი № ---- ----- --.--. 2023 წ.

საგანგებო მართვის გეგმა
(ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. N32/35
- I, II, III კორპუსები)

საგანგებო მართვის გეგმა შემუშავებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ შტაბის წევრების მიერ და დამტკიცებულია რექტორის 2023 წლის 28 თებერვლის N01-02/44 ბრძანებით (იხ. დანართი N2), საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ შესაბამისად

I თავი

შესავალი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ (შემდგომში - ბსუ) საგანგებო მართვის გეგმა (შემდგომში - გეგმა) შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის შესაბამისად და წარმოადგენს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ბსუ-ს საქმიანობის საფუძველს და „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ განხორციელების მხარდაჭერის სამოქმედო დოკუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს, შესაძლო საგანგებო სიტუაციაზე მზადყოფნის, პრევენციის, რეაგირებისა და აღდგენითი ღონისძიებების ჩატარებას.

გეგმა განსაზღვრავს შესაძლო საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილების ან შემცირების ღონისძიებების მოცულობას, ვადებს, ორგანიზებისა და განხორციელების წესს, თანამშრომლების სტუდენტების და მატერიალურ ფასეულობათა დამაზიანებელი ფაქტორებისაგან დაცვის მიზნით გადაუდებელი ღონისძიებების შესრულებას.

1.1. სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი

ბსუ მოქმედებს **დანართში N3** წარმოდგენილი ნორმატიული აქტების შესაბამისად და უფლება აქვს არსებული კანონმდებლობის ფარგლებში, გეგმის ეფექტურად განხორციელების მიზნით, დადოს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები სხვა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

. გეგმის მიზანია:

- ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან ბსუ-ს სტუდენტთა, პროფესიულ სტუდენტთა და თანამშრომელთა (მათ შორის საშტატო პერსონალი, ხელშეკრულებით მოწვეული - დამხმარე პერსონალი, მასწავლებლები, პროფესიული განათლების მასწავლებელი) დაცვის საერთო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების წარმართვა;
- ორგანიზაციის კომპეტენციის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების მიტიგაციის, მათზე მზადყოფნის, ხოლო მათი განვითარების შემთხვევაში, რეაგირებისა და აღდგენის ღონისძიებების შემუშავება და ორგანიზება;
- საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესის ეფექტურად განხორციელების მიზნით, ორგანიზაციის შესაძლებლობისა და ვალდებულების ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის მხარდაჭერა;
- მომხდარ საგანგებო სიტუაციაზე სასწავლებლის დროული, კოორდინირებული და ორგანიზებული რეაგირების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი იურიდიული საფუძვლის შექმნა;
- შესაძლო საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და ლიკვიდაციისათვის რესურსების განსაზღვრა.

1.3. ბსუ-ს სარგებლობაში არსებული, ქ. ბათუმში, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. N32/35-ში მდებარე ტერიტორიის, შენობა-ნაგებობების აღწერა და ზოგადი მონაცემები.

1.3.1 საგანგებო მართვის გეგმის ამოქმედებაზე და მასზე ოპერატიულ წვდომაზე პასუხისმგებელია: ბსუ-ს რექტორი მერაბ ხალვაში - საქართველო, ბათუმი, ჯინჭარაძის ქ. № 65, ტელ: 577179755.

1.3.2. თანამშრომლების და მომსახურე პერსონალის რაოდენობა:

- ადმინისტრაციული და დამხმარე/ტექნიკური პერსონალი - 200 ადამიანამდე;
- პროფესორ-მასწავლებლები და სამეცნიერო პერსონალი - 830 ადამიანამდე;
- სტუდენტი (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტურანტურა), პროფესიული სტუდენტები - 7100 ადამიანამდე;

1.3.3. ბსუ-ს მოცემულ ტერიტორიაზე განთავსებული შენობა-ნაგებობების ტიპი და მისი არქიტექტურულ-კონსტრუქციული აღწერა:

ტერიტორიაზე განთავსებულია ერთი ერთსართულიანი დამხმარე შენობა; ერთი სამსართულიანი სასწავლო კორპუსი; ერთი ოთხსართულიანი სასწავლო კორპუსი; ერთი ხუთსართულიანი სასწავლო კორპუსი.

სამსართულიანი სასწავლო/ადმინისტრაციული კორპუსი I - შენობა-ნაგებობა აგებულია რკინაბეტონით და აგურებით. სართულებს შორის კავშირი ხორციელდება ბეტონის საფეხურებიანი ოთხი კიბის უჯრედით, რომელსაც მოწყობილი აქვს რკინაბეტონისა და ლითონის კონსტრუქციის მოაჯირი. შენობის მე-2 სართულზე მოწყობილია II კორპუსში გადასასვლელი. შენობაში დამონტაჟებულია პანდუსი და პირველი და მეორე სართულები ადაპტირებულია შშმ პირებისთვის.

ხუთსართულიანი სასწავლო კორპუსი II- შენობა-ნაგებობა აგებულია რკინაბეტონით და აგურებით. სართულებს შორის კავშირი ხორციელდება ბეტონის საფეხურებიანი ორი კიბის უჯრედით, რომელსაც მოწყობილი აქვს ლითონის კონსტრუქციის მოაჯირი. შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი და პანდუსი და ადაპტირებულია შშმ პირებისთვის.

ოთხსართულიანი კორპუსი III - შენობა-ნაგებობა აგებულია რკინაბეტონით და აგურებით. სართულებს შორის კავშირი ხორციელდება ბეტონის საფეხურებიანი ორი კიბის უჯრედით, რომელსაც მოწყობილი აქვს ლითონის კონსტრუქციის მოაჯირი.

ტერიტორიაზე (ხუთსართულიანი კორპუსის პირველ სართულზე) ფუნქციონირებს პირველადი დახმარების ოთახი.

ბსუ-ს ყველა კორპუსი აღჭურვილია შესაბამისი სახანძრო ინვენტარით, საევაკუაციო გეგმებით, სახანძრო სიგნალიზაციით, ვიდეომეთვალყურეობის სისტემით, ავარიული განათებით, საევაკუაციო გზის მაჩვენებლებით (მანათობელი), ცეცხლმაქრეებით,

ბოლო I და II კორპუსები დამატებით აღჭურვილია მაღალი წნევის ხანძარსაწინააღმდეგო წყლის სისტემით.

ტერიტორიის აღწერა: ტერიტორიაზე, გარდა კორპუსებისა, განთავსებულია ღია სპორტული მოედანი და დამხმარე ნაგებობა - გამშვები პუნქტი (დაცვის ჯიხური). ტერიტორიაზე შემოსასვლელად რუსთაველის და ნინოშვილის ქუჩების მხრიდან მოწყობილია ორი ჭიშკარი.

შენობა-ნაგებობებში განთავსებულია ბსუ-ს: ადმინისტრაცია და სამსახურები; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი; ტურიზმის ფაკულტეტი; ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი; საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი; ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი; იურიდიული და ცოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი; ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი; ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა;

1.4 ბსუ-ს საგანგებო შტაბის წევრების ფუნქციონალური მოვალეობები

ბსუ-ში ფუნქციონირებს საგანგებო შტაბი, რომელიც წარმოადგენს საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მათზე მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების მაკოორდინირებელ და გადაწყვეტილების მიმღებ ჯგუფს. საგანგებო შტაბის უფროსი და მისი თანაშემწეები გეგმის შესაბამისად კოორდინაციას უწევენ რეაგირების ძალებსა და საშუალებებს.

1.4.1. საგანგებო

შტაბის წევრების ფუნქციონალური მოვალეობები

N	საგანგებო შტაბი წევრის პოზიცია	ყოველდღიური საქმიანობის რეჟიმში თანამდებობა, რომელთანაც შეთავსებულია საგანგებო შტაბი წევრის პოზიცია	საგანგებო შტაბი წევრის ფუნქციონალური მოვალეობები
1	საგანგებო შტაბის უფროსი	ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) მერაბ დიასამიძე	დანართი № 4 პუნქტი 1
2	საგანგებო შტაბი უფროსის თანაშემწე ევაკუაციის საკითხებში	ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის დაცვის განყოფილების უფროსი: კობა ჭანტურია	დანართი № 4 პუნქტი 2
3	საგანგებო შტაბის უფროსის თანაშემწე - კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ხაზით	ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი: ედიშერ ჩავლეიშვილი	დანართი № 4 პუნქტი 3

4	სამაშველო ჯგუფების კოორდინატორი	ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი: ალექსანდრე გოგიტიძე	დანართი № 4 პუნქტი 4
5	მატერიალურ - ტექნიკური მომარაგების დარგში უფლებამოსილი პირი	ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი: როლანდ ხალვაში	დანართი № 4 პუნქტი 5
6	საგანგებო შტაბი უფროსის თანაშემწე სამედიცინო უზრუნველყოფის დარგში	სამედიცინო პუნქტის ხელმძღვანელი: ეთერ ჯაყელი	დანართი № 4 პუნქტი 6

1.5. არსებული ადრეული გაფრთხილების სისტემის აღწერა

ადრეული გაფრთხილების სისტემას წარმოადგენს სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელების და თანამშრომლების შეტყობინება ელექტრო სიგნალიზაციის გამოყენებით განუწყვეტლად 3-4 წუთის განმავლობაში. ამასთან, შტაბის წევრების შეტყობინება ხდება მობილური ტელეფონის საშუალებით;

1.6. სახანძრო-სამაშველო ტექნიკა-აღჭურვილობა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

აღწერილია N 11 დანართში.

II თავი

საფრთხეების, რისკების შეფასება და აღწერა

საფრთხეებისა და რისკების შეფასება განხორციელდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული “2015-2018 წწ. საფრთხეების შეფასების ეროვნული დოკუმენტის” (ნოემბერი 2015) საფუძველზე.

2.1. მოსალოდნელი საფრთხეების ზოგადი აღწერა

ქ. ბათუმში სეისმური, გეოლოგიური, ჰიდროლოგიური, მეტეოროლოგიური, გეოპოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კლიმატურ-ეკოლოგიური ზოგადი დახასიათების საფუძველზე არსებობს შემდეგი სახის საფრთხეები: ხანძარი, ძლიერი ქარი, წყალდიდობა, მიწისძვრა.

2.2. რისკის შეფასების დრო: 15 დეკემბერი 2022 წელი.

2.3. რისკის შეფასების მეთოდოლოგია

სტატისტიკურ-ალბათური, რომელიც ეფუძნება ისტორიულ ანალიზის და ზოგადად რისკის ხარისხობრივ შეფასებას. საგანგებო შტაბის წევრების მიერ 10-10 ქულიანი სისტემებით შეფასებულ იქნა სასწავლებლის განთავსების ტერიტორიაზე მომხდარი ბუნებრივი მოვლენები და შეფასებისას გათვალისწინებული იქნა ამ მოვლენების მოხდენის ალბათობები და ზეგავლენა.

2.4. რისკის შეფასების შედეგები:

რისკის შეფასების ღონისძიების შედეგად არსებული საფრთხეებიდან გამოვლინდა შემდეგი რისკები:

N	საფრთხე	ალბათობა	ზეგავლენა	რისკის მახასიათებელი ქულა
1	ხანძარი	3	4	12
2	მიწისძვრა	2	3	6
3	ძლიერი ქარი	2	3	6
4	წყალდიდობა	2	3	6

N1 რისკის აღწერა: ბსუ-ს I II III კორპუსების გადახურვა შესრულებულია ხის კონსტრუქციებით, ხის კოჭებით და შეფიცვრით რაც დამუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო სითხით. შენობებს გააჩნია ოთხჯანობიანი სახურავი, რომელზეც განხორციელებულია ხის კონსტრუქციებით: ხის კოჭებით და ნივნივებით, ბურული მოწყობილია თუნუქით. ამასთან, შენობა ელექტროფიცირებულია, რაც სახანძრო სიტუაციას უფრო აძლიერებს.

N2 რისკის აღწერა: მრავალწლიანი გამოცდილებიდან გამომდინარე, ქ. ბათუმში მიწისძვრის ალბათობა (მითუმეტეს ძლიერი მიწისძვრა) საკმაოდ დაბალია. მიწისძვრამ შეიძლება გამოიწვიოს შენობის ნგრევა, ხანძრების წარმოქმნა, კომუნალ-ენერგეტიკული ქსელის მწყობრიდან გამოყვანა. დარღვეულ იქნეს კავშირგაბმულობისა და შეტყობინების სისტემა.

N3 რისკის აღწერა: ქ. ბათუმში მოსალოდნელია ძლიერი ქარი, განსაკუთრებით გაზაფხულზე და შემოდგომაზე. შენობების გადახურვა შესრულებულია ხის კონსტრუქციებით, ხის კოჭებით და შეფიცვრით, გააჩნია ფერმული ტიპის ორჯანობიანი სახურავი, რის გამოც გამოცხადდა რისკად.

N4 რისკის აღწერა: ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მოსალოდნელია ძლიერი წვიმა განსაკუთრებით გაზაფხულზე და შემოდგომაზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მცირე (0,5მ-მდე) წყალდიდობა რამდენიმე საათის განმავლობაში. აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება შეაფერხოს საევაკუაციო ღონისძიებები - შეიძლება დროებით დაიტბოროს სასწავლებლის ტერიტორია.

2.5. საგანგებო სიტუაციის განვითარების სცენარის აღწერა:

გამოვლენილი რისკების საფუძველზე შემუშავდა ობიექტზე ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების სავარაუდო განვითარების შემდეგი სცენარები:

სცენარი N1 რისკის მიხედვით: ხანძრის შემთხვევაში შესაძლოა მოხდეს აფეთქებები, გადაიწვას ელექტრო-სისტემა, ცეცხლი მოეკიდოს საწყობს, ლაბორატორიას, ავეჯს. ხანძრის შემთხვევაში შესაძლებელია ასევე ადამიანთა დაშავება და მსხვერპლიც.

სცენარი N2 რისკის მიხედვით: მიწისძვრამ შეიძლება გამოიწვიოს ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების ნგრევა, კომუნალურ-ენერგეტიკული ქსელის მწყობრიდან გამოსვლა კავშირგაბმულობის და კომუნიკაციის სისტემის მოშლა. დიდი მიწისძვრის შემთხვევაში შესაძლებელია პერსონალის დაღუპვა და ხანძარიც.

სცენარი N3 რისკის მიხედვით: ძლიერმა ქარმა შესაძლებელია გამოიწვიოს უმართავი სიტუაცია. კერძოდ, საფრთხე ექმნება შენობის გაყვანილობებს, შესაძლებელია გადახადოს სახურავი, წააქციოს ხე, დააზიანოს ენერგო და გაზომომარაგების საშუალებები და საქვაბეები.

სცენარი N4 რისკის მიხედვით: წყალდიდობამ შეიძლება შეაფერხოს საევაკუაციო ღონისძიებები - შეიძლება დროებით დაიტბოროს ბსუ-ს ტერიტორია.

III თავი

გასატარებელი ღონისძიებების აღწერა საგანგებო სიტუაციების მართვის ფაზების მიხედვით.

პრევენციის უმთავრესი მიზანია საგანგებო სიტუაციებში სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების და გარემოს დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება.

საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება ხორციელდება საგანგებო მართვის გეგმების საფუძველზე, საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მიხედვით.

არსებული ნორმატიული რეგულაციების საფუძველზე, საგანგებო მართვის გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მოქმედებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, როგორებიც არის:

- ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა იდენტიფიცირება და ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა;
- ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით შენობის ადაპტირება (გასასვლელების, დროებითი თავშესაფრების, შენობიდან ევაკუირებული პირების უსაფრთხო განთავსების ადგილების მოწყობის თვალსაზრისით);
- გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვა ზომების დაგეგმვა.

3.1 ფაზა I: პრევენცია / მიტიგაცია

3.1.1 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N1 რისკის (ხანძარი) მიხედვით: ელექტრო სისტემის გადამოწმება, ცეცხლმაქრების, მაღალი წნევის ხანძარსაწინააღმდეგო წყლის სისტემის, ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის და ადრეული გაფრთხილების სისტემის გაკონტროლება, დამწვრობის საწინააღმდეგო სახვევი სამედიცინო მასალის და მედიკამენტების გადამოწმება და შევსება, შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა, შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი N 5.1**)

3.1.2 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N2 რისკის (მიწისძვრა) მიხედვით: დაუმაგრებელი მოძრავი ავეჯის გამოვლენა და მათი შეძლებისდაგვარად ფიქსაცია შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა, შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი N 5.2**)

3.1.3 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N3 რისკის (ძლიერი ქარი) მიხედვით: შენობაში მოხდეს საოფისე ინვენტარის განთავსება იმგვარად, რომ თავიდან იქნას აცილებული ჩამოსული წყლის შედეგად მათი დაზიანება სახურავის შემოწმება, შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა, შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი N 5.3.**)

3.1.4 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N4 რისკის (წყალდიდობა) მიხედვით: სასწავლებლის ტერიტორიაზე გადამოწმდეს სანიაღვრე არხები, შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა, შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი N 5.4.**)

3.2 ფაზა II: მზადყოფნა

საგანგებო შტაბი განიხილავს პერსონალის უსაფრთხოების საკითხებს, მოიძიებს და აზუსტებს სათადარიგო სამოქმედო და დროებითი თავშესაფრისათვის უსაფრთხო ადგილებს, განაახლებს პერსონალის სავაკუაციო გეგმას და შეიმუშავებს ხელმძღვანელების არყოფნის შემთხვევაში მათი სხვა კადრებით ჩანაცვლების პროცედურებს.

მზადყოფნის უზრუნველყოფისა და საგანგებო სიტუაციაზე დროული და ეფექტური რეაგირებისათვის ორგანიზება უკეთდება თეორიულ სწავლებებსა და სიმულაციურ ვარჯიშებს.

მზადყოფნისა და რეაგირების პროცესებში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფორმაციის მართვას. ამ მიზნით იქმნება და პერიოდულად განახლდება მზადყოფნისა და რეაგირების ღონისძიებების შესახებ მონაცემთა ბაზა.

ამასთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, გეგმის მზადყოფნის ღონისძიებები ითვალისწინებს როგორც მათი ინფორმირების, ასევე სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლებისათვის სწავლების უზრუნველყოფას მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით.

3.2.1 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N1 სცენარის მიხედვით: სტუდენტებისთვის, პროფესიული სტუდენტებისთვის, და თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლების ტრენინგები/სწავლება ხანძართან და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე, საევაკუაციო წვრთნა, შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა, შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი N6.1.**)

3.2.2 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N2 სცენარის მიხედვით: სტუდენტებისთვის, პროფესიული სტუდენტებისთვის, და თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლების ტრენინგები/სწავლება მიწისძვრასთან და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე, საევაკუაციო წვრთნა, რისკის შემცველ შენობა-ნაგებობების მონიტორინგი უსაფრთხოების კუთხით, სამაშველო-სახანძრო, აღჭურვილობის ვარგისიანობის შეფასება და სრულყოფა-განახლება, შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა, შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი N6.2.**)

3.2.3 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N3 სცენარის მიხედვით: სტუდენტებისთვის პროფესიული სტუდენტებისათვის და თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლების ტრენინგები/სწავლება ქარიშხლის და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე, საევაკუაციო წვრთნა, შენობა-ნაგებობის მონიტორინგი უსაფრთხოების კუთხით, შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა, შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი N6.3.**)

3.2.4 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N4 სცენარის მიხედვით: სტუდენტებისთვის პროფესიული სტუდენტებისათვის და თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლების ტრენინგები/სწავლება წყალდიდობის და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე, საევაკუაციო წვრთნა, შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა, შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი N6.4.**)

3.3. ფაზა III: რეაგირება

3.3.1. შენობიდან ევაკუაციის გეგმა – წარმოადგენს გრაფიკულ ნაწილს, რომელიც გამოკრულია ყველა შენობის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილებზე, მისი ასლი თან ერთვის გეგმას (იხილეთ **დანართი N 10.1-10.25**) უნივერსიტეტში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების რეაგირების ჯგუფები (იხილეთ **დანართი N 12, დანართი N13**).

3.3.2 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №1 სცენარის მიხედვით: განგაშის გამოცხადება და შეტყობინება, სამაშველო ჯგუფის გამოძახება ტელეფონით, ნომერზე: 112, საევაკუაციო გეგმის მიხედვით ხალხის ევაკუაცია უსაფრთხო ადგილამდე, სახანძრო-სამაშველო საქმიანობებში ჩართვა კომპეტენტური პირების და ტექნიკის, ხალხის აღრიცხვა, შშმ პირისა და მისი დამხმარე პერსონალისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენა სხვა პასუხისმგებელი პირების მხრიდან.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი N 7.1.**)

3.3.3 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №2 სცენარის მიხედვით: განგაშის გამოცხადება და შეტყობინება, სამაშველო ჯგუფის გამოძახება ტელეფონით, ნომერზე: 112, საევაკუაციო გეგმის მიხედვით ხალხის ევაკუაცია უსაფრთხო ადგილამდე, სახანძრო-სამაშველო საქმიანობებში ჩართვა კომპეტენტური პირების და ტექნიკის, ხალხის აღრიცხვა, შშმ პირისა და მისი დამხმარე პერსონალისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენა სხვა პასუხისმგებელი პირების მხრიდან.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი N 7.2.**)

3.3.4 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №3 სცენარის მიხედვით: განგაშის გამოცხადება და შეტყობინება, სამაშველო ჯგუფის გამოძახება ტელეფონით, ნომერზე: 112, საგანგებო სიტუაციების განვითარების კონკრეტული უბნებიდან ინფორმაციის მიღება, გადამუშავება, საგანგებო ვითარების შეფასება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა, შშმ პირისა და მისი დამხმარე პერსონალისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენა სხვა პასუხისმგებელი პირების მხრიდან.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი N 7.3.**)

3.3.5 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №4 სცენარის მიხედვით: განგაშის გამოცხადება და შეტყობინება, სამაშველო ჯგუფის გამოძახება ტელეფონით, ნომერზე: 112, საგანგებო სიტუაციების განვითარების კონკრეტული უბნებიდან ინფორმაციის მიღება, გადამუშავება, საგანგებო ვითარების შეფასება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა, შშმ პირისა და მისი დამხმარე პერსონალისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენა სხვა პასუხისმგებელი პირების მხრიდან.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი N 7.4.**)

3.4 ფაზა IV: აღდგენა

3.4.1 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა N1 სცენარის მიხედვით: განადგურებული ტექნიკის მოშორება, აღდგენითი და სარემონტო სამუშაოების დაწყება.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი N 8.1.**)

3.4.2 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №2 სცენარის მიხედვით: განადგურებული ტექნიკის მოშორება, აღდგენითი და სარემონტო სამუშაოების დაწყება.
(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი N 8.2.**)

3.4.3 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №3 სცენარის მიხედვით: მიყენებული ზარალის აღრიცხვა/შეფასება, აღდგენითი და სარემონტო სამუშაოების დაწყება - გადახდილი/დაზიანებული შენობის შეფასება.
(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი N 8.3.**)

3.4.4 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №4 სცენარის მიხედვით: გადახდილი/დაზიანებული შენობის შეფასება.
(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი N 8.4.**)

გეგმის დანართები

დანართის №	დანართის დასახელება	გეგმის გვერდის №
1.	ბრძანება საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ	14
2.	ბრძანება წინამდებარე საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ	15
3.	სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი	16
4.	საგანგებო შტაბის წევრები, მათი საკურატორო საგანგებო დახმარების ფუნქციები და მათი ამოცანები	17
ფაზა I: პრევენცია/მიტიგაცია – დეტალური სამოქმედო გეგმა სცენარების მიხედვით ყოველდღიური ფუნქციონირების რეჟიმში		
5.1.	გასატარებელი ღონიძებების აღწერილობა N1 რისკის მიხედვით	24
5.2.	გასატარებელი ღონიძებების აღწერილობა N2 რისკის მიხედვით	25
5.3.	გასატარებელი ღონიძებების აღწერილობა N3 რისკის მიხედვით	26
5.4.	გასატარებელი ღონიძებების აღწერილობა N4 რისკის მიხედვით	27
ფაზა II: მზადყოფნა – დეტალური სამოქმედო გეგმა სცენარების მიხედვით ყოველდღიური ფუნქციონირების რეჟიმში		
6.1.	გასატარებელი ღონიძებების აღწერა N1 სცენარის მიხედვით	28
6.2.	გასატარებელი ღონიძებების აღწერა N2 სცენარის მიხედვით	29
6.3.	გასატარებელი ღონიძებების აღწერა N3 სცენარის მიხედვით	30
6.4.	გასატარებელი ღონიძებების აღწერა N4 სცენარის მიხედვით	31
ფაზა III: რეაგირება – დეტალური სამოქმედო გეგმა სცენარების, გაძლიერებული მზადყოფნისა და საგანგებო რეჟიმების მიხედვით		
7.1.	გასატარებელი ღონიძებების აღწერა N1 სცენარის მიხედვით	32
7.2.	გასატარებელი ღონიძებების აღწერა N2 სცენარის მიხედვით	33
7.3.	გასატარებელი ღონიძებების აღწერა N3 სცენარის მიხედვით	34

7.4.	გასატარებელი ღონიძიებების აღწერა N4 სცენარის მიხედვით	35
ფაზა IV: აღდგენა – დეტალური სამოქმედო გეგმა სცენარების მიხედვით საგანგებო რეჟიმში		
8.1.	გასატარებელი ღონიძიებების აღწერა N1 სცენარის მიხედვით	36
8.2.	გასატარებელი ღონიძიებების აღწერა N2 სცენარის მიხედვით	37
8.3.	გასატარებელი ღონიძიებების აღწერა N3 სცენარის მიხედვით	38
8.4.	გასატარებელი ღონიძიებების აღწერა N4 სცენარის მიხედვით	39
9.	საგანგებო შტაბის შეტყობინების სქემა	40
შენიშვნებიდან ევაკუაციის გეგმები		
10.1.- 10.3.	პირველი კორპუსის ევაკუაციის გეგმა	41-43
10.4.- 10.21.	მეორე კორპუსის ევაკუაციის გეგმა	44-61
10.22.- 10.25.	მესამე კორპუსის ევაკუაციის გეგმა	62-65
11	სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობის და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ნუსხა	66
12	საგანგებო შტაბის შემადგენლობა	67
13	სამაშველო და საევაკუაციო ჯგუფების შემადგენლობა	68
14	პერსონალის გაცნობის ფურცელი	69

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
 ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/294

ქ. ბათუმი

15 დეკემბერი 2022 წ

ბსუ-ში საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „ეროვნული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს N415 ბრძანების, „ბსუ-ს სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების (კორპუსების) ნუმერაციის შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 15 სექტემბრის N01-10/77 ბრძანებისა და ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ედიშერ ჩავლეიშვილის 2022 წლის 10 ნოემბრის №1438634 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ბსუ-ს სარგებლობაში არსებულ ტერიტორიაზე და შენობებში, საგანგებო ვითარებაში (სიტუაცია) სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების ეფექტურად განხორციელებისა და ბსუ-ს სტუდენტების, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის სასწავლო და სამუშაო გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას ბსუ-ს საგანგებო შტაბი წინამდებარე ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს საგანგებო შტაბის წევრებს, საგანგებო შტაბის უფროსისა და მოადგილის მითითების შესაბამისად სპეციალური ტრენინგის გავლა.
3. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „ბსუ-ში საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 18 ნოემბრის №01-02/270 ბრძანება.
4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევით ინტიტუტებს და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30), მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი



მ. ხალვაში

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
 ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-02/44

ქ. ბათუმი

28 თებერვალი, 2023 წ

ბსუ-ს შენობების (კორპუსების) საგანგებო მართვის გეგმების დამტკიცების შესახებ

„უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის, „ბსუ-ს სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების (კორპუსების) წყუმერაციის შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 15 სექტემბრის №01-10/77 ბრძანების, „ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 თებერვლის N07-01/07 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 11 ნოემბრის N01-02/266 ბრძანების, ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2022 წლის 22 დეკემბრის №1643035 სამსახურებრივი ბარათის და „ბსუ-ში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ინსტრუქციისა და სავაკუაციო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 06 ნოემბრის №01-11/89 ბრძანების (ცვლილება - ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 11 იანვრის N01-10/02 ბრძანება), „ბსუ-ს შენობების (კორპუსების) სავაკუაციო გეგმების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 17 თებერვლის N01-10/18 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

- ბსუ-ს სარგებლობაში არსებულ ტერიტორიაზე და შენობებში (კორპუსებში), ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან ბსუ-ს სტუდენტთა, პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის (აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე თანამდებობის პირები და შრომითი ხელშეკრულებით მოწვეული პერსონალი: არასამტატო პოზიციებზე დასაქმებულნი და მხმარე პერსონალი, მასწავლებლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები) დაცვის ეფექტურად განხორციელების, სასწავლო და სამუშაო გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით დამტკიცდეს ბსუ-ს შენობების (კორპუსების) სავაკუაციო გეგმები წინამდებარე ბრძანების დანართების შესაბამისად:

ა) დანართი N1 - საგანგებო მართვის გეგმა ბსუ-ს N1-3 კორპუსისათვის (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. N35/32);

ბ) დანართი N2 - საგანგებო მართვის გეგმა ბსუ-ს N4 კორპუსისათვის (ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №12);

გ) დანართი N3 - საგანგებო მართვის გეგმა ბსუ-ს N5 კორპუსისათვის (ქ. ბათუმი, გრიშაშვილის ქ. №5);

დ) დანართი N4 - საგანგებო მართვის გეგმა N6 და N7 კორპუსებისათვის (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15, პროფესიული პროგრამების მართვის და უწყვეტი განათლების ცენტრი - VI კორპუსი და საერთო საცხოვრებელი - VII კორპუსი);

ე) დანართი N5 - საგანგებო მართვის გეგმა ბსუ-ს N8 კორპუსისათვის (ქ. ქობულეთი, ჰეიდარ აბაშიძის ქ. №26 - VIII კორპუსი).

- ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი 2023 წლის 23 თებერვლიდან „ბსუ-ს საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 12 ოქტომბრის №01-02/238 ბრძანება.

3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30), მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი



მერაბ ხალვაში

სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი

1. საქართველოს კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ (27.06. 2018 წ.);
2. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 დადგენილება „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“;
3. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №371 დადგენილება „საქართველოში სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის განხორციელების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;
4. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვარის № 51 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის - „სამოქალაქო უსაფრთხოების საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების“ დამტკიცების თაობაზე;
5. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 4 ივნისის №153 დადგენილება “საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების წესდების დამტკიცების შესახებ”;
6. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 4 ივნისის №154 დადგენილება “უსაფრთხოების დეკლარაციის წარდგენის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე”;
7. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილება „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;
8. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის № 452 დადგენილება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“;
9. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №453 დადგენილება „საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“;
10. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 11 იანვრის №4 დადგენილება „საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;
11. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ნოემბრის №577 დადგენილება „სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროს მოხალისეთა წესდების დამტკიცების შესახებ“;
12. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 სექტემბრის N590 დადგენილება „ინციდენტისა და საგანგებო სიტუაციის კლასიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“;
13. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის №48 დადგენილება „მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“.

საგანგებო შტაბის წევრები,
მათი ფუნქციონალური მოვალეობები

№	საგანგებო სიტუაციების მართვის ჯგუფი (სახელი გვარი)	ფუნქციონალური მოვალეობები	საკონტაქტო ტელეფონი	შენიშვნა
1.	<p>საგანგებო შტაბის უფროსი:</p> <p>მერაბ დიასამიძე - ბსუს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი)</p>	<ul style="list-style-type: none"> - საგანგებო მართვის გეგმის შემუშავება და მისი ამოქმედება საგანგებო სიტუაციების დროს; - რეაგირების ფორმირების ჩამოყალიბება, მათი აღჭურვა და მომზადება; - ფორმირების ინდივიდუალური დაცვისათვის საჭირო აღჭურვილობით მომარაგება, მათი ექსპლუატაციისათვის მზადყოფნის უზრუნველყოფა, შენახვა და საჭიროების შემთხვევაში ორგანიზებული გაცემა; - საგანგებო მართვის გეგმით გათვალისწინებული საგანგებო სიტუაციების პრევენციული და მზადყოფნის ღონისძიებების ორგანიზება. - თანამშრომლებისა და პერსონალის დადგენილი წესის მიხედვით უსაფრთხო ადგილებში ევაკუაცია; 	577145445	

<p>2.</p>	<p>საგანგებო შტაბი უფროსის თანაშემწეები ევაკუაციის საკითხებში:</p> <p>კობა ჭანტურია - ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის დაცვის განყოფილების უფროსი</p> <p>საევაკუაციო ჯგუფი: I კორპუსი რევაზ ფარტენაძე- მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის სპეციალისტი (ადმინისტრატორი);</p> <p>II კორპუსი ლაშა სირაძე - მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის სპეციალისტი (ადმინისტრატორი, შრომითი ხელშეკრულებით მოწვეული);</p> <p>III კორპუსი ლევან გორგილაძე- მატერიალური რესურსების მართვის</p>	<ul style="list-style-type: none"> - შესაბამის კორპუსებში (ცალ-ცალკე ყოველი სართულისათვის) და შენობის გარეთ თანამშრომელთა ევაკუაციის გეგმის შემუშავება; - ევაკუაციის დროს იგი საევაკუაციო ჯგუფის შესაბამის წევრთან ერთად ვალდებულია: <ul style="list-style-type: none"> - დროულად შეატყობინოს პერსონალს ევაკუაციის დაწყება; - დროულად გააგზავნოს შემკრებ საევაკუაციო პუნქტზე თავისი წარმომადგენელი; - ორგანიზება გაუკეთოს დანიშნულ დროში სრული შემადგენლობით თანამშრომლების გამოცხადებას შემკრებ პუნქტზე, მათი უსაფრთხო ადგილებში გადაყვანის მიზნით; - საგანგებო სიტუაციის დროს საევაკუაციო ჯგუფის წევრებისგან მიღებული ინფორმაცია დაახვედროს/ გადასცეს ადგილზე მოსულ სახანძრო/სამაშველო დანაყოფს; - სისტემატიურად ამოწმებდნენ ხანძარსაწინააღმდეგო დაფების დაკომპლექტებას საჭირო ინვენტარითა და ცეცლმაქრებით. იცოდნენ ცეცლმაქრების ვარგისიანობა, მათი შვესების დრო; - სისტემატიურად ახორციელებდნენ ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს; უნდა ამოწმებდნენ ელექტროგადამცემი ხაზების მდგომარეობას, ტერიტორიის დასუფთავებას, ცეცხლმაქრი საშუალებების მარაგის არსებობას; 	<p>577141080</p> <p>577141044</p> <p>555020352</p> <p>558572575</p>	
-----------	---	---	---	--

	<p>დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (შრომითი ხელშეკრულებით მოწვეული);</p>			
<p>3.</p>	<p>საგანგებო შტაბი უფროსის თანაშემწე კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ხაზით - ედიშერ ჩავლეიშვილი - დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი</p>	<ul style="list-style-type: none"> - ორგანიზებას უკეთებს მართვის, კავშირისა და შეტყობინების მუდმივ მზადყოფნას. შესაბამისად, შეტყობინების სქემის მიხედვით საგანგებო შტაბის შეკრებასა და სხდომების ორგანიზებას; - იგი ვალდებულია დროულად განახორციელოს შეტყობინება ხელმძღვანელი პირების, რეაგირების ფორმირების და პერსონალის სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელების თაობაზე. - ახორციელებს საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში ინფორმაციის შეგროვებას და მისი გაცვლის ორგანიზებას; საინფორმაციო ბაზის შექმნას და მის მუდმივ განახლებას. 	<p>577954402</p>	
<p>4.</p>	<p>სამაშველო ჯგუფის კოორდინატორი - ალექსანდრე გოგიტიძე - მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტი</p> <p>სამაშველო ჯგუფის წევრები:</p>	<ul style="list-style-type: none"> - ორგანიზებას უკეთებს რეაგირების ძალების საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო და აღდგენით სამუშაოებში ჩართვას; <p>სამაშველო ჯგუფის კოორდინატორი და ჯგუფის უფროსები მშვიდობიან პირობებში ვალდებული არიან:</p> <ul style="list-style-type: none"> - იცოდნენ ჯგუფების/ჯგუფის პირადი შემადგენლობა, მათი მომზადების დონე, სამუშაო ადგილი. ჰქონდეს ჯგუფის პირადი შემადგენლობის სია საჭიროების შემთხვევაში მათი სწრაფი 	<p>577141054</p>	

<p>I,II და III კორპუსებში და ტერიტორიაზე რომან მიქელაძე (ჯგუფის უფროსი) - მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის ელექტრიკოსი</p> <p>რუსლან ქარცივაძე - საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურის (ბუღალტერია) მთავარი სპეციალისტი</p> <p>ზაზა ბერიძე - ტურიზმის ფაკულტეტის მასპინძლობის მენეჯმენტის დარგობრივი დეპარტამენტის სპეციალისტი</p> <p>ლევან წვერავა - მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის სპეციალისტი (მუშა)</p> <p>ედუარდ ანანიძე - გამომცემლობის ტექნიკურ რედაქტორი</p> <p>რომან ბედინაძე - მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის</p>	<p>შეკრებისათვის;</p> <ul style="list-style-type: none"> - შეისწავლონ ობიექტზე განლაგებული ყველა შენობა-ნაგებობა და ენერგომომარაგების, კანალიზაციის, წყალმომარაგებისა და საკომუნიკაციო ქსელები; - სისტემატიურად უნდა ატარებდნენ, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ მეცადინეობას პირად შემადგენლობასთან. - სისტემატიურად უნდა ამოწმებდნენ, როგორც პირად ასევე ჯგუფის პირადი შემადგენლობის მუდმივ მზადყოფნას; - იცოდნენ ჯგუფის ქონების ადგილსამყოფელი, მიღებისა და გაცემის გრაფიკი; - აქტიურად მონაწილეობდნენ პრევენციული და მზადყოფნის ღონისძიებების საგანგებო გეგმით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელებაში; - იცოდნენ ობიექტზე სუსტი ადგილები, ავარიის შემთხვევაში მისი სწრაფი ლიკვიდაციის მიზნით. <p>ექსტრემალური ვითარების განვითარებისას სამაშველო ჯგუფის კორდინატორი და ჯგუფის უფროსები ვალდებული არიან:</p> <ul style="list-style-type: none"> - სწრაფად შეკრიბონ ჯგუფის პირადი შემადგენლობა. მოკლედ განუმარტონ შექმნილი ვითარება, დაუსახონ თითოეულს ამოცანები და მიიღონ საჭირო აღჭურვილობა; 	<p>558694131</p> <p>577078754</p> <p>599273326</p> <p>577594474</p> <p>599285280</p> <p>577141093</p>	
--	--	---	--

	<p>მძლოლი ტიგრან ზადურიანი - მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის მძლოლი</p> <p>მირზა იაკობაძე - საფინანსო- ეკონომიკური დეპარტამენტის შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე</p>	<ul style="list-style-type: none"> - სწრაფად და ენერგიულად იმოქმედონ დაზიანების კერაში დაზარალებულთა გასაყვანად და დახმარების აღმოსაჩენად. აწარმოონ ავარიის შედეგების ლიკვიდაცია; - სისტემატიურად ახსენებდეს საგანგებო შტაბის უფროსს გაწეული საქმიანობის შესახებ; <p style="text-align: center;">ხანძრის შემთხვევაში სამაშველო ჯგუფის კორდინატორი და ჯგუფის უფროსები ვალდებულნი არიან:</p> <ul style="list-style-type: none"> - შეაფასონ სახანძრო ვითარება; - განსაზღვრონ ხანძრის კერის წარმოქმნისა და გავრცელების ადგილი, ყველა საშუალებების გამოყენებით განახორციელონ ცეცხლის ქრობა და მისი ლოკალიზაცია; - განსაზღვრონ ხანძრის ჩასაქრობად საჭირო ძალები და ტექნიკა, ასევე საჭირო წყლის მოწოდების საშუალებების სახეები და მათი რაოდენობა; - ადგილზე მოსულ მეხანძრე-მაშველებს მოახსენონ საქმის ვითარება და საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად განაგრძონ ცეცხლის ქრობა. - განისაზღვროს უსაფრთხო ევაკუაციის მარშრუტი. 	<p style="text-align: center;">577141017</p> <p style="text-align: center;">577218865</p>	
<p>5.</p>	<p>მატერიალურ- ტექნიკური მომარაგების დარგში უფლებამოსილი პირი - როლანდ ხალვაში - მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი</p>	<p>ექვემდებარება საგანგებო შტაბის უფროსს და იგი ვალდებულია:</p> <ul style="list-style-type: none"> - მიიღოს აქტიური მონაწილეობა საგანგებო მართვის გეგმის შედგენაში მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხების გათვალისწინების თვალსაზრისით; - მონაწილეობა მიიღოს პრევენციული და მზადყოფნის ღონისძიებების საგანგებო მართვის გეგმით გათვალისწინებულ 	<p style="text-align: center;">577420113</p>	

		<p>ლონისძიებების განხორციელებაში;</p> <ul style="list-style-type: none"> - მოამზადოს ანგარიში რეაგირების ფორმირებების აღჭურვის მიზნით; - იცოდეს საჭირო აღჭურვილობისა და ინვენტარის რაოდენობა, მისი შექმნისა და შენახვის პირობები; - იცოდეს ავტოტრანსპორტის რაოდენობა, მათი ტექნიკური აღჭურვილობა და საწვავ-საცხები მასალის შენახვის პირობები. აწარმოოს მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ხარჯვის ზუსტი აღრიცხვა; - სისტემატიურად აწვდის ინფორმაციას საგანგებო შტაბის უფროსს ავტოტრანსპორტის და სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საჭირო ქონების ტექნიკურ მდგომარეობის შესახებ. 		
<p>6.</p>	<p>სამედიცინო უზრუნველყოფის დარგში უფლებამოსილი პირი ეთერ ჯაყელი - სამედიცინო კუნქტის ხელმძღვანელი</p>	<p>ექვემდებარება საგანგებო შტაბის უფროსს და იგი ვალდებულია:</p> <p>მშვიდობიან პირობებში:</p> <ul style="list-style-type: none"> - მონაწილეობდეს პრევენციული და მზადყოფნის ღონისძიებების საგანგებო მართვის გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებების განხორციელებაში; - აღმოუჩინოს პირველადი სამედიცინო დახმარება დაზიანებულ ადამიანებს; - მუდმივად ზრუნავდეს პირველადი სამედიცინო დახმარების მედიკამენტებისა და სამედიცინო საშუალებების საჭირო მარაგის შექმნაზე. <p>ექსტრემალურ ვითარებაში იგი:</p>	<p>593345456</p>	

		<p>– ორგანიზებას უკეთებს დაშავებულების პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას;</p> <p>ინფორმაციას აწვდის სამედიცინო დახმარების მორიგე ჯგუფს დაშავებულების შესახებ;</p>		
<p>7.</p>	<p>შემკრებ-საევაკუაციო პუნქტი (შემკრებ-საევაკუაციო პუნქტის მდებარეობა/ევაკუაციის საკითხებში საგანგებო შტაბის უფროსის თანაშემწის წარმომადგენელი):</p> <p>I,II და III კორპუსებში მყოფთათვის - ეზოში, შენობებიდანუსაფრთხო მანძილზე მდებარე ღია სპორტული მოედანი/ მორიგე დაცვის თანამშრომელი;</p>	<p>ევაკუაციის საკითხებში საგანგებო შტაბის უფროსის თანაშემწის წარმომადგენელი ვალდებულია:</p> <p>- მოახდინოს საგანგებო მდგომარეობაში მყოფი შესაბამისი ობიექტიდან/ზონიდან ევაკუირებული ბსუ-ს თანამშრომლების, სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების და ვიზიტორების შეკრება შემკრებ-საევაკუაციო პუნქტზე;</p> <p>- ევაკუაციის საკითხებში საგანგებო შტაბი უფროსის თანაშემწესთან და შესაბამისი საევაკუაციო ჯგუფის უფროსთან იყოს მუდმივ კავშირზე მიაწოდოს მათ ინფორმაცია გადამოწმების შედეგად გამოვლენილ, სავარაუდოდ შენობაში დაჩენილ არაევაკუირებულ პირებზე.</p>		

ფაზა I: პრევენცია/მიტიგაცია – დეტალური სამოქმედო გეგმა სცენარების მიხედვით ყოველდღიური ფუნქციონირების რეჟიმში

გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N1 რისკის (ხანძარი) მიხედვით

№	ღონისძიება	შესრულების პერიოდი	პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
1	ელექტრო სისტემის გადამოწმება	თვეში ერთხელ	ზურაბ კალანდაძე რომან მიქელაძე	
2	ცეცხლმაქრების, მაღალი წნევის ხანძარსაწინააღმდეგო წყლის სისტემის და ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის გაკონტროლება	თვეში ერთხელ	კობა ჭანტურია	
3	დამწვრობის საწინააღმდეგო სახვევი სამედიცინო მასალის და მედიკამენტების გადამოწმება და შევსება	თვეში ერთხელ	ეთერ ჯაყელი	
4	შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა	კვარტალში ერთხელ	გოჩა სურგულაძე (ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე)	
5	შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა	კვარტალში ერთხელ	მორიგე დაცვის თანამშრომელი	

გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N2 რისკის (მიწისძვრა) მიხედვით

№	ღონისძიება	შესრულების პერიოდი	პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
1	მიწისძვრისას მოქმედებების ინსტრუქციის შემუშავება/ კორექტირება დახვეწა	პერიოდულად, საჭიროების შემთხვევაში	ედიშერ ჩავლეიშვილი	
2	შენობების კონსტრუქციისა და არსებული ფართობების ტექნიკური დათვალიერება-შემოწმება	კვარტალში ერთხელ	მერაბ ხალვაში (მთ. სპეციალისტი)	
3	დაუმაგრებელი მოძრავი ავეჯის გამოვლენა და მათი შეძლებისდაგვარად ფიქსაცია	კვარტალში ერთხელ	ლაშა სირაძე რევაზ ფარტენაძე ლევან გორგილაძე	
4	შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა	კვარტალში ერთხელ	გოჩა სურგულაძე (ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე)	
5	შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა	კვარტალში ერთხელ	მორიგე დაცვის თანამშრომელი	

გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N3 რისკის (ძლიერი ქარი) მიხედვით

№	ღონისძიება	შესრულების პერიოდი	პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
1	შენობაში საოფისე ინვენტარის განთავსება იმგვარად, რომ წვიმის შემთხვევაში თავიდან იქნეს აცილებული ჩამოსული წყლის შედეგად მათი დაზიანება	კვარტალში ერთხელ	ლაშა სირაძე რევაზ ფარტენაძე ლევან გორგილაძე	
2	სახურავის შემოწმება	კვარტალში ერთხელ	მერაბ ხალვაში (მთ. სპეციალისტი) ნუგზარ ღოდობერიძე	
3	შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა	კვარტალში ერთხელ	გოჩა სურგულაძე (ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე)	
4	შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა	კვარტალში ერთხელ	მორიგე დაცვის თანამშრომელი	

გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N4 რისკის (წყალდიდობა) მიხედვით

№	ღონისძიება	შესრულების პერიოდი	პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
1	ტერიტორიაზე გადამოწმდეს სანიაღვრე არხები	კვარტალში ერთხელ	მერაბ ხალვაში (მთ. სპეციალისტი)	
2	შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა	კვარტალში ერთხელ	გოჩა სურგულაძე (ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე)	
3	შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა	კვარტალში ერთხელ	მორიგე დაცვის თანამშრომელი	

გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N1 სცენარის მიხედვით

№	გასატარებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი პირი	განხორციელების ვადები	შენიშვნა
1	სტუდენტებისთვის, პროფესიული სტუდენტებისთვის, და თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლების ტრენინგები/სწავლება ხანძართან და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე	ედიშერ ჩავლეიშვილი	სექტემბერ/ოქტომბერი - თებერვალ/მარტი	
2	საევაკუაციო წვრთნა	კობა ჭანტურია	სექტემბერ/ოქტომბერი - თებერვალ/მარტი	
3	სახანძრო სისტემების ტექნიკური გამართულობის შემოწმება	კობა ჭანტურია	სექტემბერ/ოქტომბერი - თებერვალ/მარტი	
4	სახანძრო სფეროში სახანძრო-სამაშველო ჯგუფებისათვის ხანძრის ჩაქრობის იმიტირებული სწავლებების ჩატარება	კობა ჭანტურია	სექტემბერ/ოქტომბერი - თებერვალ/მარტი	
5	შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა	გოჩა სურგულაძე (ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე)	კვარტალში ერთხელ	
6	შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა	მორიგე დაცვის თანამშრომელი	კვარტალში ერთხელ	

გასატარებელი ღონიძირების აღწერა N2 სცენარის მიხედვით

№	გასატარებელი ღონისძირები	პასუხისმგებელი პირი	განხორციელების ვადები	შენიშვნა
1	სტუდენტებისთვის, პროფესიული სტუდენტებისათვის და თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლების ტრენინგები/სწავლება მიწისძვრასთან და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე	ედიშერ ჩავლეიშვილი	სექტემბერ/ოქტომბერი - თებერვალ/მარტი	
2	საევაკუაციო წვრთნა	კობა ჭანტურია	სექტემბერ/ოქტომბერი - თებერვალ/მარტი	
3	შენობა-ნაგებობების მონიტორინგი უსაფრთხოების კუთხით	მერაბ ხალვაში	სექტემბერ/ოქტომბერი - თებერვალ/მარტი	
4	დაუმადრებელი მოძრავი ავეჯის გამოვლენა და მათი შეძლებისდაგვარად ფიქსაცია	ლაშა სირაძე რევაზ ფარტენაძე ლევან გორგილაძე	კვარტალში ერთხელ	
5	სამაშველო-სახანძრო, აღჭურვილობის ვარგისიანობის შეფასება და სრულყოფა-განახლება	კობა ჭანტურია	წელიწადში ერთხელ	
6	შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა	გოჩა სურგულაძე (ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე)	კვარტალში ერთხელ	
7	შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა	მორიგე დაცვის თანამშრომელი	კვარტალში ერთხელ	

გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N3 სცენარის მიხედვით

№	გასატარებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი პირი	განხორციელების ვადები	შენიშვნა
საგანგებო მართვის გეგმა შემუშავებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ შტაბის წევრების მიერ და დამტკიცებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ რექტორის 2023 წლის 28 თებერვლის N01-02/44 ბრძანებით (იხ. დანართი N2), საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ შესაბამისად.

I თავი

შესავალი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ (შემდგომში - ბსუ) საგანგებო მართვის გეგმა (შემდგომში - გეგმა) შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის შესაბამისად და წარმოადგენს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ბსუ-ს საქმიანობის საფუძველს და „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ განხორციელების მხარდაჭერის სამოქმედო დოკუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს, შესაძლო საგანგებო სიტუაციაზე მზადყოფნის, პრევენციის, რეაგირებისა და აღდგენითი ღონისძიებების ჩატარებას.

გეგმა განსაზღვრავს შესაძლო საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილების ან შემცირების ღონისძიებების მოცულობას, ვადებს, ორგანიზებისა და განხორციელების წესს, თანამშრომლების სტუდენტების და მატერიალურ ფასეულობათა დამაზიანებელი ფაქტორებისაგან დაცვის მიზნით გადაუდებელი ღონისძიებების შესრულებას.

1.1. სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი

ბსუ მოქმედებს **დანართში N3** წარმოდგენილი ნორმატიული აქტების შესაბამისად და უფლება აქვს არსებული კანონმდებლობის ფარგლებში, გეგმის ეფექტურად განხორციელების მიზნით, დადოს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები სხვა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

. გეგმის მიზანია:

- ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან ბსუ-ს სტუდენტთა, პროფესიულ სტუდენტთა და თანამშრომელთა (მათ შორის საშტატო პერსონალი, ხელშეკრულებით მოწვეული - დამხმარე პერსონალი, მასწავლებლები, პროფესიული განათლების მასწავლებელი) დაცვის საერთო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების წარმართვა;
- ორგანიზაციის კომპეტენციის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების მიტიგაციის, მათზე მზადყოფნის, ხოლო მათი განვითარების შემთხვევაში, რეაგირებისა და აღდგენის ღონისძიებების შემუშავება და ორგანიზება;
- საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესის ეფექტურად განხორციელების მიზნით, ორგანიზაციის შესაძლებლობისა და ვალდებულების ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის მხარდაჭერა;
- მომხდარ საგანგებო სიტუაციაზე სასწავლებლის დროული, კოორდინირებული და ორგანიზებული რეაგირების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი იურიდიული საფუძვლის შექმნა;
- შესაძლო საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და ლიკვიდაციისათვის რესურსების განსაზღვრა.

1.3. ბსუ-ს სარგებლობაში არსებული, ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქ. №12-ში მდებარე ტერიტორიის, შენობა-ნაგებობის აღწერა და ზოგადი მონაცემები.

1.3.1 საგანგებო მართვის გეგმის ამოქმედებაზე და მასზე ოპერატიულ წვდომაზე პასუხისმგებელია: ბსუ-ს რექტორი მერაბ ხალვაში - საქართველო, ბათუმი, ჯინჭარაძის ქ. № 65, ტელ: 577179755.

1.3.2. თანამშრომლების და მომსახურე პერსონალის რაოდენობა:

- ადმინისტრაციული და დამხმარე/ტექნიკური პერსონალი - 30 ადამიანამდე;
- პროფესორ-მასწავლებლები და სამეცნიერო პერსონალი - 45 ადამიანამდე;
- სტუდენტი (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტურანტურა), პროფესიული სტუდენტები - 350 ადამიანამდე;

1.3.3. ბსუ-ს მოცემულ ტერიტორიაზე განთავსებული შენობა-ნაგებობების ტიპი და მისი არქიტექტურულ-კონსტრუქციული აღწერა:

ტერიტორიაზე განთავსებულია ერთი ოთხსართულიანი სასწავლო კორპუსი;

ოთხსართულიანი სასწავლო კორპუსი IV - შენობა-ნაგებობა აგებულია რკინაბეტონით და აგურებით. სართულებს შორის კავშირი ხორციელდება ბეტონის საფეხურებიანი ორი კიბის უჯრედით, რომელსაც მოწყობილი აქვს ლითონის კონსტრუქციის მოაჯირი. შენობაში დამონტაჟებულია პანდუსი და პირველი სართული ადაპტირებულია შშმ პირებისთვის.

კორპუსი აღჭურვილია შესაბამისი სახანძრო ინვენტარით (ცეცხლმაქრეებით), საევაკუაციო გეგმებით, ადრეული გაფრთხილების სისტემით, ვიდეომეთვალყურეობის სისტემით.

ტერიტორიის აღწერა: ტერიტორიაზე, გარდა კორპუსებისა, განთავსებულია საქვაბე.

შენობა-ნაგებობებში განთავსებულია ბსუ-ს: ტექნოლოგიური ფაკულტეტის საინჟინრო მიმართულება; საგამოცდო ცენტრი;

1.4 ბსუ-ს საგანგებო შტაბის წევრების ფუნქციონალური მოვალეობები

ბსუ-ში ფუნქციონირებს საგანგებო შტაბი, რომელიც წარმოადგენს საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მათზე მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების მაკოორდინირებელ და გადაწყვეტილების მიმღებ ჯგუფს. საგანგებო შტაბის უფროსი და მისი თანაშემწეები გეგმის შესაბამისად კოორდინაციას უწევენ რეაგირების ძალებსა და საშუალებებს.

1.4.1. საგანგებო

შტაბის წევრების ფუნქციონალური მოვალეობები

N	საგანგებო შტაბი წევრის პოზიცია	ყოველდღიური საქმიანობის რეჟიმში თანამდებობა, რომელთანაც შეთავსებულია საგანგებო შტაბი წევრის პოზიცია	საგანგებო შტაბი წევრის ფუნქციონალური მოვალეობები
1	საგანგებო შტაბის უფროსი	ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) მერაბ დიასამიძე	დანართი № 4 პუნქტი 1
2	საგანგებო შტაბი უფროსის თანაშემწე ევაკუაციის საკითხებში	ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის დაცვის განყოფილების უფროსი: კობა ჭანტურია	დანართი № 4 პუნქტი 2
3	საგანგებო შტაბის უფროსის თანაშემწე -კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ხაზით	ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი: ედიშერ ჩავლეიშვილი	დანართი № 4 პუნქტი 3
4	სამაშველო ჯგუფების კოორდინატორი	ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი: ალექსანდრე გოგიტიძე	დანართი № 4 პუნქტი 4
5	მატერიალურ - ტექნიკური მომარაგების დარგში უფლებამოსილი პირი	ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი: როლანდ ხალვაში	დანართი № 4 პუნქტი 5
6	საგანგებო შტაბი უფროსის თანაშემწე სამედიცინო უზრუნველყოფის დარგში	სამედიცინო პუნქტის ხელმძღვანელი: ეთერ ჯაყელი	დანართი № 4 პუნქტი 6

1.5. არსებული ადრეული გაფრთხილების სისტემის აღწერა

ადრეული გაფრთხილების სისტემას წარმოადგენს სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელების და თანამშრომლების შეტყობინება ელექტრო სიგნალიზაციის გამოყენებით განუწყვეტლად 3-4 წუთის განმავლობაში. ამასთან, შტაბის წევრების შეტყობინება ხდება მობილური ტელეფონის საშუალებით;

1.6. სახანძრო-სამაშველო ტექნიკა-აღჭურვილობა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

აღწერილია N 11 დანართში.

II თავი

საფრთხეების, რისკების შეფასება და აღწერა

საფრთხეებისა და რისკების შეფასება განხორციელდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული “2015-2018 წწ. საფრთხეების შეფასების ეროვნული დოკუმენტის” (ნომბერი 2015) საფუძველზე.

2.1. მოსალოდნელი საფრთხეების ზოგადი აღწერა

ქ. ბათუმში სეისმური, გეოლოგიური, ჰიდროლოგიური, მეტეოროლოგიური, გეოპოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კლიმატურ-ეკოლოგიური ზოგადი დახასიათების საფუძველზე არსებობს შემდეგი სახის საფრთხეები: ხანძარი, ძლიერი ქარი, წყალდიდობა, მიწისძვრა.

2.2. რისკის შეფასების დრო: 15 დეკემბერი 2022 წელი.

2.3. რისკის შეფასების მეთოდოლოგია

სტატისტიკურ-ალბათური, რომელიც ეფუძნება ისტორიულ ანალიზის და ზოგადად რისკის ხარისხობრივ შეფასებას. საგანგებო შტაბის წევრების მიერ 10-10 ქულიანი სისტემებით შეფასებულ იქნა სასწავლებლის განთავსების ტერიტორიაზე მომხდარი ბუნებრივი მოვლენები და შეფასებისას გათვალისწინებული იქნა ამ მოვლენების მოხდენის ალბათობები და ზეგავლენა.

2.4. რისკის შეფასების შედეგები:

რისკის შეფასების ღონისძიების შედეგად არსებული საფრთხეებიდან გამოვლინდა შემდეგი რისკები:

N	საფრთხე	ალბათობა	ზეგავლენა	რისკის მახასიათებელი ქულა
1	ხანძარი	3	4	12
2	მიწისძვრა	2	3	6
3	ძლიერი ქარი	2	3	6
4	წყალდიდობა	2	3	6

N1 რისკის აღწერა: ბსუ-ს IV კორპუსის გადახურვა შესრულებულია ხის კონსტრუქციებით, ხის კოჭებით და შეფიცვრით რაც დამუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო სითხით. შენობას გააჩნია ოთხჯანობიანი სახურავი, რომელზეც განხორციელებულია ხის კონსტრუქციებით: ხის კოჭებით და ნივნივებით, ბურული მოწყობილია თუნუქით. ამასთან, შენობა ელექტროფიციირებულია, რაც სახანძრო სიტუაციას უფრო აძლიერებს.

N2 რისკის აღწერა: მრავალწლიანი გამოცდილებიდან გამომდინარე, ქ. ბათუმში მიწისძვრის ალბათობა (მითუმეტეს ძლიერი მიწისძვრა) საკმაოდ დაბალია. მიწისძვრამ შეიძლება გამოიწვიოს შენობის ნგრევა, ხანძრების წარმოქმნა, კომუნალურ ენერგეტიკული ქსელის მწყობრიდან გამოყვანა. დარღვეულ იქნეს კავშირგაბმულობისა და შეტყობინების სისტემა.

N3 რისკის აღწერა: ქ. ბათუმში მოსალოდნელია ძლიერი ქარი, განსაკუთრებით გაზაფხულზე და შემოდგომაზე. შენობების გადახურვა შესრულებულია ხის კონსტრუქციებით, ხის კოჭებით და შეფიცვრით, გააჩნია ფერმული ტიპის ორქანობიანი სახურავი, რის გამოც გამოცხადდა რისკად.

N4 რისკის აღწერა: ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მოსალოდნელია ძლიერი წვიმა განსაკუთრებით გაზაფხულზე და შემოდგომაზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მცირე (0,5მ-მდე) წყალდიდობა რამდენიმე საათის განმავლობაში. აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება შეაფერხოს საევაკუაციო ღონისძიებები - შეიძლება დროებით დაიტბოროს კორპუსთან მისასვლელი გზები.

2.5. საგანგებო სიტუაციის განვითარების სცენარის აღწერა:

გამოვლენილი რისკების საფუძველზე შემუშავდა ობიექტზე ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების სავარაუდო განვითარების შემდეგი სცენარები:

სცენარი N1 რისკის მიხედვით: ხანძრის შემთხვევაში შესაძლოა მოხდეს აფეთქებები, გადაიწვას ელექტრო-სისტემა, ცეცხლი მოეკიდოს საწყობს, ლაბორატორიას, ავეჯს. ხანძრის შემთხვევაში შესაძლებელია ასევე ადამიანთა დაშავება და მსხვერპლიც.

სცენარი N2 რისკის მიხედვით: მიწისძვრამ შეიძლება გამოიწვიოს შენობა-ნაგებობის ნგრევა, კომუნალური-ენერგეტიკული ქსელის მწყობრიდან გამოსვლა კავშირგაბმულობის და კომუნიკაციის სისტემის მოშლა. დიდი მიწისძვრის შემთხვევაში შესაძლებელია პერსონალის დაღუპვა და ხანძარიც.

სცენარი N3 რისკის მიხედვით: ძლიერმა ქარმა შესაძლებელია გამოიწვიოს უმართავი სიტუაცია. კერძოდ, საფრთხე ექმნება შენობის გაყვანილობებს, შესაძლებელია გადახადოს სახურავი, წააქციოს ხე, დააზიანოს ენერგო და გაზომომარაგების საშუალებები და საქვაბეები.

სცენარი N4 რისკის მიხედვით: წყალდიდობამ შეიძლება შეაფერხოს საევაკუაციო ღონისძიებები - შეიძლება დროებით დაიტბოროს მისასვლელი გზები და ბსუ-ს ტერიტორია.

გასატარებელი ღონისძიებების აღწერა საგანგებო სიტუაციების მართვის ფაზების მიხედვით.

პრევენციის უმთავრესი მიზანია საგანგებო სიტუაციებში სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების და გარემოს დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება.

საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება ხორციელდება საგანგებო მართვის გეგმების საფუძველზე, საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მიხედვით.

არსებული ნორმატიული რეგულაციების საფუძველზე, საგანგებო მართვის გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მოქმედებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, როგორებიც არის:

- ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა იდენტიფიცირება და ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა;
- ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით შენობის ადაპტირება (გასასვლელების, დროებითი თავშესაფრების, შენობიდან ევაკუირებული პირების უსაფრთხო განთავსების ადგილების მოწყობის თვალსაზრისით);
- გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვა ზომების დაგეგმვა.

3.1 ფაზა I: პრევენცია / მიტიგაცია

3.1.1 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N1 რისკის (ხანძარი) მიხედვით: ელექტრო სისტემის გადამოწმება, ცეცხლმაქრების, ადრეული გაფრთხილების სისტემის გაკონტროლება, დამწვრობის საწინააღმდეგო სახვევი სამედიცინო მასალის და მედიკამენტების გადამოწმება და შევსება, შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა, შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი N 5.1**)

3.1.2 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N2 რისკის (მიწისძვრა) მიხედვით: დაუმაგრებელი მოძრავი ავეჯის გამოვლენა და მათი შეძლებისდაგვარად ფიქსაცია შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა, შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი N 5.2**)

3.1.3 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N3 რისკის (ძლიერი ქარი) მიხედვით: შენობაში მოხდეს საოფისე ინვენტარის განთავსება იმგვარად, რომ თავიდან იქნას აცილებული ჩამოსული წყლის შედეგად მათი დაზიანება სახურავის შემოწმება, შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების

დადგენა, შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა.

(ლონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი N 5.3.**)

3.1.4 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N4 რისკის (წყალდიდობა) მიხედვით: სასწავლებლის ტერიტორიაზე გადამოწმდეს სანიაღვრე არხები, შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა, შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა.

(ლონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი N 5.4.**)

3.2 ფაზა II: მზადყოფნა

საგანგებო შტაბი განიხილავს პერსონალის უსაფრთხოების საკითხებს, მოიძიებს და აზუსტებს სათადარიგო სამოქმედო და დროებითი თავშესაფრისათვის უსაფრთხო ადგილებს, განახლებს პერსონალის საევაკუაციო გეგმას და შეიმუშავებს ხელმძღვანელების არყოფნის შემთხვევაში მათი სხვა კადრებით ჩანაცვლების პროცედურებს.

მზადყოფნის უზრუნველყოფისა და საგანგებო სიტუაციაზე დროული და ეფექტური რეაგირებისათვის ორგანიზება უკეთდება თეორიულ სწავლებებსა და სიმულაციურ ვარჯიშებს.

მზადყოფნისა და რეაგირების პროცესებში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფორმაციის მართვას. ამ მიზნით იქმნება და პერიოდულად განახლდება მზადყოფნისა და რეაგირების ღონისძიებების შესახებ მონაცემთა ბაზა.

ამასთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, გეგმის მზადყოფნის ღონისძიებები ითვალისწინებს როგორც მათი ინფორმირების, ასევე სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლებისათვის სწავლების უზრუნველყოფას მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით.

3.2.1 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N1 სცენარის მიხედვით: სტუდენტებისთვის, პროფესიული სტუდენტებისთვის, და თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლების ტრენინგები/სწავლება ხანძართან და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე, საევაკუაციო წვრთნა, შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა, შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა.

(ლონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი N6.1.**)

3.2.2 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N2 სცენარის მიხედვით: სტუდენტებისთვის, პროფესიული სტუდენტებისთვის, და თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლების ტრენინგები/სწავლება მიწისძვრასთან და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე, საევაკუაციო წვრთნა, რისკის შემცველ შენობა-ნაგებობების მონიტორინგი უსაფრთხოების კუთხით, სამაშველო-სახანძრო, აღჭურვილობის ვარგისიანობის შეფასება და სრულყოფა-განახლება, შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა, შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი N6.2.**)

3.2.3 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N3 სცენარის მიხედვით: სტუდენტებისთვის პროფესიული სტუდენტებისათვის და თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლების ტრენინგები/სწავლება ქარიშხლის და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე, საევაკუაციო წვრთნა, შენობა-ნაგებობის მონიტორინგი უსაფრთხოების კუთხით, შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა, შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი N6.3.**)

3.2.4 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N4 სცენარის მიხედვით: სტუდენტებისთვის პროფესიული სტუდენტებისათვის და თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლების ტრენინგები/სწავლება წყალდიდობის და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე, საევაკუაციო წვრთნა, შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა, შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი N6.4.**)

3.3. ფაზა III: რეაგირება

3.3.1. შენობიდან ევაკუაციის გეგმა – წარმოადგენს გრაფიკულ ნაწილს, რომელიც გამოკრულია ყველა შენობის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილებზე, მისი ასლი თან ერთვის გეგმას (იხილეთ **დანართი N 10.1-10.5**) უნივერსიტეტში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების რეაგირების ჯგუფები (იხილეთ **დანართი N 12, დანართი N13**).

3.3.2 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №1 სცენარის მიხედვით: განგაშის გამოცხადება და შეტყობინება, სამაშველო ჯგუფის გამოძახება ტელეფონით, ნომერზე: 112, საევაკუაციო გეგმის მიხედვით ხალხის ევაკუაცია უსაფრთხო ადგილამდე, სახანძრო-სამაშველო საქმიანობებში ჩართვა კომპეტენტური პირების და ტექნიკის, ხალხის აღრიცხვა, შშმ პირისა და მისი დამხმარე პერსონალისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენა სხვა პასუხისმგებელი პირების მხრიდან.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი N 7.1.**)

3.3.3 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №2 სცენარის მიხედვით: განგაშის გამოცხადება და შეტყობინება, სამაშველო ჯგუფის გამოძახება ტელეფონით, ნომერზე: 112, საევაკუაციო გეგმის მიხედვით ხალხის ევაკუაცია უსაფრთხო ადგილამდე, სახანძრო-სამაშველო საქმიანობებში ჩართვა კომპეტენტური პირების და ტექნიკის, ხალხის აღრიცხვა, შშმ პირისა და მისი დამხმარე პერსონალისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენა სხვა პასუხისმგებელი პირების მხრიდან.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი N 7.2.**)

3.3.4 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №3 სცენარის მიხედვით: განგაშის გამოცხადება და შეტყობინება, სამაშველო ჯგუფის გამოძახება ტელეფონით, ნომერზე: 112, საგანგებო სიტუაციების განვითარების კონკრეტული უბნებიდან ინფორმაციის მიღება, გადამუშავება, საგანგებო ვითარების შეფასება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა, შშმ პირისა და მისი დამხმარე პერსონალისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენა სხვა პასუხისმგებელი პირების მხრიდან.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი N 7.3.**)

3.3.5 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №4 სცენარის მიხედვით: განგაშის გამოცხადება და შეტყობინება, სამაშველო ჯგუფის გამოძახება ტელეფონით, ნომერზე: 112, საგანგებო სიტუაციების განვითარების კონკრეტული უბნებიდან ინფორმაციის მიღება, გადამუშავება, საგანგებო ვითარების შეფასება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა, შშმ პირისა და მისი დამხმარე პერსონალისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენა სხვა პასუხისმგებელი პირების მხრიდან.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი N 7.4.**)

3.4 ფაზა IV: აღდგენა

3.4.1 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა N1 სცენარის მიხედვით: განადგურებული ტექნიკის მოშორება, აღდგენითი და სარემონტო სამუშაოების დაწყება.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი N 8.1.**)

3.4.2 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №2 სცენარის მიხედვით: განადგურებული ტექნიკის მოშორება, აღდგენითი და სარემონტო სამუშაოების დაწყება.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი N 8.2.**)

3.4.3 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №3 სცენარის მიხედვით: მიყენებული ზარალის აღრიცხვა/შეფასება, აღდგენითი და სარემონტო სამუშაოების დაწყება - გადახდილი/დაზიანებული შენობის შეფასება.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი N 8.3.**)

3.4.4 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა №4 სცენარის მიხედვით: გადახდილი/დაზიანებული შენობის შეფასება.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი N 8.4.**)

გეგმის დანართები

დანართის №	დანართის დასახელება	გეგმის გვერდის №
1.	ბრძანება საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ	13
2.	ბრძანება წინამდებარე საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ	14
3.	სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი	15
4.	საგანგებო შტაბის წევრები, მათი საკურატორო საგანგებო დახმარების ფუნქციები და მათი ამოცანები	16
ფაზა I: პრევენცია/მიტიგაცია – დეტალური სამოქმედო გეგმა სცენარების მიხედვით ყოველდღიური ფუნქციონირების რეჟიმში		
5.1.	გასატარებელი ღონიძიებების აღწერილობა N1 რისკის მიხედვით	23
5.2.	გასატარებელი ღონიძიებების აღწერილობა N2 რისკის მიხედვით	24
5.3.	გასატარებელი ღონიძიებების აღწერილობა N3 რისკის მიხედვით	25
5.4.	გასატარებელი ღონიძიებების აღწერილობა N4 რისკის მიხედვით	26
ფაზა II: მზადყოფნა – დეტალური სამოქმედო გეგმა სცენარების მიხედვით ყოველდღიური ფუნქციონირების რეჟიმში		
6.1.	გასატარებელი ღონიძიებების აღწერა N1 სცენარის მიხედვით	27
6.2.	გასატარებელი ღონიძიებების აღწერა N2 სცენარის მიხედვით	28
6.3.	გასატარებელი ღონიძიებების აღწერა N3 სცენარის მიხედვით	29
6.4.	გასატარებელი ღონიძიებების აღწერა N4 სცენარის მიხედვით	30
ფაზა III: რეაგირება – დეტალური სამოქმედო გეგმა სცენარების, გაძლიერებული მზადყოფნისა და საგანგებო რეჟიმების მიხედვით		
7.1.	გასატარებელი ღონიძიებების აღწერა N1 სცენარის მიხედვით	31
7.2.	გასატარებელი ღონიძიებების აღწერა N2 სცენარის მიხედვით	32
7.3.	გასატარებელი ღონიძიებების აღწერა N3 სცენარის მიხედვით	33

7.4.	გასატარებელი ღონიძიებების აღწერა N4 სცენარის მიხედვით	34
ფაზა IV: აღდგენა – დეტალური სამოქმედო გეგმა სცენარების მიხედვით საგანგებო რეჟიმში		
8.1.	გასატარებელი ღონიძიებების აღწერა N1 სცენარის მიხედვით	35
8.2.	გასატარებელი ღონიძიებების აღწერა N2 სცენარის მიხედვით	36
8.3.	გასატარებელი ღონიძიებების აღწერა N3 სცენარის მიხედვით	37
8.4.	გასატარებელი ღონიძიებების აღწერა N4 სცენარის მიხედვით	38
9.	საგანგებო შტაბის შეტყობინების სქემა	39
შენიშვნებიდან ევაკუაციის გეგმები		
10.1.- 10.5.	მეოთხე კორპუსის ევაკუაციის გეგმა	40-44
11	სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობის და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ნუსხა	45
12	საგანგებო შტაბის შემადგენლობა	46
13	სამაშველო და საევაკუაციო ჯგუფების შემადგენლობა	47
14	პერსონალის გაცნობის ფურცელი	48

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/294

ქ. ბათუმი

15 დეკემბერი 2022 წ

ბსუ-ში საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „ეროვნული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს N415 ბრძანების, „ბსუ-ს სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების (კორპუსების) ნუმერაციის შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 15 სექტემბრის N01-10/77 ბრძანებისა და ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ედიშერ ჩავლეიშვილის 2022 წლის 10 ნოემბრის №1438634 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ბსუ-ს სარგებლობაში არსებულ ტერიტორიაზე და შენობებში, საგანგებო ვითარებაში (სიტუაცია) სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების ეფექტურად განხორციელებისა და ბსუ-ს სტუდენტების, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის სასწავლო და სამუშაო გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას ბსუ-ს საგანგებო შტაბი წინამდებარე ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს საგანგებო შტაბის წევრებს, საგანგებო შტაბის უფროსისა და მოადგილის მითითების შესაბამისად სპეციალური ტრენინგის გავლა.
3. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „ბსუ-ში საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 18 ნოემბრის №01-02/270 ბრძანება.
4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევით ინტიტუტებს და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30), მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი



მ. ხალვაში

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დანართი N 2

ბრძანება N01-02/44

ქ. ბათუმი 28 თებერვალი, 2023 წ

ბსუ-ს შენობების (კორპუსების) საგანგებო მართვის გეგმების დამტკიცების შესახებ

„უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის, „ბსუ-ს სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების (კორპუსების) წყმრავიის შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 15 სექტემბრის №01-10/77 ბრძანების, „ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 თებერვლის N07-01/07 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 11 ნოემბრის N01-02/266 ბრძანების, ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2022 წლის 22 დეკემბრის №1643035 სამსახურებრივი ბარათის და „ბსუ-ს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ინსტრუქციისა და სავაკუაციო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 06 ნოემბრის №01-11/89 ბრძანების (ცვლილება - ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 11 იანვრის N01-10/02 ბრძანება), „ბსუ-ს შენობების (კორპუსების) სავაკუაციო გეგმების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 17 თებერვლის N01-10/18 ბრძანების საფუძველზე

ებრძანებ:

1. ბსუ-ს სარგებლობაში არსებულ ტერიტორიაზე და შენობებში (კორპუსებში), ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან ბსუ-ს სტუდენტთა, პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის (აკადემიკოსი, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე თანამდებობის პირები და შრომითი ხელშეკრულებით მოწვეული პერსონალი: არასამტატო პოზიციებზე დასაქმებული დამხმარე პერსონალი, მასწავლებლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები) დაცვის ეფექტურად განხორციელების, სასწავლო და სამუშაო გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით დამტკიცდეს ბსუ-ს შენობების (კორპუსების) სავაკუაციო გეგმები წინამდებარე ბრძანების დანართების შესაბამისად:

- ა) დანართი N1 - საგანგებო მართვის გეგმა ბსუ-ს N1-3 კორპუსებისათვის (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. N35/32);
- ბ) დანართი N2 - საგანგებო მართვის გეგმა ბსუ-ს N4 კორპუსისათვის (ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №12);
- გ) დანართი N3 - საგანგებო მართვის გეგმა ბსუ-ს N5 კორპუსისათვის (ქ. ბათუმი, გრიშაშვილის ქ. №5);
- დ) დანართი N4 - საგანგებო მართვის გეგმა N6 და N7 კორპუსებისათვის (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15, პროფესიული პროგრამების მართვის და უწყვეტი განათლების ცენტრი - VI კორპუსი და საერთო საცხოვრებელი - VII კორპუსი);
- ე) დანართი N5 - საგანგებო მართვის გეგმა ბსუ-ს N8 კორპუსისათვის (ქ. ქობულეთი, ჰეიდარ აბაშიძის ქ. №26 - VIII კორპუსი).

2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი 2023 წლის 23 თებერვლიდან „ბსუ-ს საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 12 ოქტომბრის №01-02/238 ბრძანება.

3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30), მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი

მერაბ ხალვაში

სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი

1. საქართველოს კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ (27.06. 2018 წ.);
2. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის #508 დადგენილება „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“;
3. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის #371 დადგენილება „საქართველოში სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის განხორციელების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;
4. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვარის № 51 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის - „სამოქალაქო უსაფრთხოების საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების“ დამტკიცების თაობაზე;
5. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 4 ივნისის #153 დადგენილება “საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების წესდების დამტკიცების შესახებ”;
6. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 4 ივნისის #154 დადგენილება “უსაფრთხოების დეკლარაციის წარდგენის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე”;
7. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის #370 დადგენილება „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;
8. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის № 452 დადგენილება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“;
9. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №453 დადგენილება „საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“;
10. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 11 იანვრის №4 დადგენილება „საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;
11. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ნოემბრის №577 დადგენილება „სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროს მოხალისეთა წესდების დამტკიცების შესახებ“;
12. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 სექტემბრის N590 დადგენილება „ინციდენტისა და საგანგებო სიტუაციის კლასიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“;
13. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის №48 დადგენილება „მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“.

საგანგებო შტაბის წევრები,
მათი ფუნქციონალური მოვალეობები

№	საგანგებო სიტუაციების მართვის ჯგუფი (სახელი გვარი)	ფუნქციონალური მოვალეობები	საკონტაქტო ტელეფონი	შენიშვნა
1.	<p>საგანგებო შტაბის უფროსი:</p> <p>მერაბ დიასამიძე - ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი)</p>	<ul style="list-style-type: none"> - საგანგებო მართვის გეგმის შემუშავება და მისი ამოქმედება საგანგებო სიტუაციების დროს; - რეაგირების ფორმირების ჩამოყალიბება, მათი აღჭურვა და მომზადება; - ფორმირების ინდივიდუალური დაცვისათვის საჭირო აღჭურვილობით მომარაგება, მათი ექსპლუატაციისათვის მზადყოფნის უზრუნველყოფა, შენახვა და საჭიროების შემთხვევაში ორგანიზებული გაცემა; - საგანგებო მართვის გეგმით გათვალისწინებული საგანგებო სიტუაციების პრევენციული და მზადყოფნის ღონისძიებების ორგანიზება. - თანამშრომლებისა და პერსონალის დადგენილი წესის მიხედვით უსაფრთხო ადგილებში ევაკუაცია; 	<p>577145445</p>	
2.	<p>საგანგებო შტაბი უფროსის თანაშემწეები ევაკუაციის საკითხებში:</p>	<ul style="list-style-type: none"> - შესაბამის კორპუსებში (ცალ-ცალკე ყოველი სართულისათვის) და შენობის გარეთ თანამშრომელთა ევაკუაციის გეგმის შემუშავება; - ევაკუაციის დროს იგი საევაკუაციო 		

	<p>კობა ჭანტურია - ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის დაცვის განყოფილების უფროსი</p> <p>საევაკუაციო ჯგუფი IV კორპუსი: ნანა დონდოლაძე- მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის სპეციალისტი (ადმინისტრატორი) ტექნოლოგიური ფაკულტეტი;</p>	<p>ჯგუფის შესაბამის წევრთან ერთად ვალდებულია:</p> <ul style="list-style-type: none"> - დროულად შეატყობინოს პერსონალს ევაკუაციის დაწყება; - დროულად გააგზავნოს შემკრებ საევაკუაციო პუნქტზე თავისი წარმომადგენელი; - ორგანიზება გაუკეთოს დანიშნულ დროში სრული შემადგენლობით თანამშრომლების გამოცხადებას შემკრებ პუნქტზე, მათი უსაფრთხო ადგილებში გადაყვანის მიზნით; - საგანგებო სიტუაციის დროს საევაკუაციო ჯგუფის წევრებისგან მიღებული ინფორმაცია დაახვედროს/ გადასცეს ადგილზე მოსულ სახანძრო/სამაშველო დანაყოფს; - სისტემატიურად ამოწმებდნენ ხანძარსაწინააღმდეგო დაფების დაკომპლექტებას საჭირო ინვენტარითა და ცეცლმაქრებით. იცოდნენ ცეცლმაქრების ვარგისიანობა, მათი შევსების დრო; - სისტემატიურად ახორციელებდნენ ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს; უნდა ამოწმებდნენ ელექტროგადამცემი ხაზების მდგომარეობას, ტერიტორიის დასუფთავებას, ცეცხლმაქრი საშუალებების მარაგის არსებობას; 	<p>577141080</p> <p>557719101</p>	
--	--	--	-----------------------------------	--

<p>3.</p>	<p>საგანგებო შტაბი უფროსის თანაშემწე კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ხაზით - ედიშერ ჩავლეიშვილი - დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი</p>	<ul style="list-style-type: none"> - ორგანიზებას უკეთებს მართვის, კავშირისა და შეტყობინების მუდმივ მზადყოფნას. შესაბამისად, შეტყობინების სქემის მიხედვით საგანგებო შტაბის შეკრებასა და სხდომების ორგანიზებას; - იგი ვალდებულია დროულად განახორციელოს შეტყობინება ხელმძღვანელი პირების, რეაგირების ფორმირების და პერსონალის სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელების თაობაზე. - ახორციელებს საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში ინფორმაციის შეგროვებას და მისი გაცვლის ორგანიზებას; საინფორმაციო ბაზის შექმნას და მის მუდმივ განახლებას. 	<p>577954402</p>	
<p>4.</p>	<p>სამაშველო ჯგუფის კოორდინატორი - ალექსანდრე გოგიტიძე - მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტი</p> <p>სამაშველო ჯგუფის წევრები:</p> <p>IV კორპუსში და ტერიტორიაზე - გოჩა ჩავლეიშვილი (ჯგუფის უფროსი) - ტექნოლოგიური</p>	<ul style="list-style-type: none"> - ორგანიზებას უკეთებს რეაგირების ძალების საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო და აღდგენით სამუშაოებში ჩართვას; <p>სამაშველო ჯგუფის კოორდინატორი და ჯგუფის უფროსები მშვიდობიან პირობებში ვალდებული არიან:</p> <ul style="list-style-type: none"> - იცოდნენ ჯგუფების/ჯგუფის პირადი შემადგენლობა, მათი მომზადების დონე, სამუშაო ადგილი. ჰქონდეს ჯგუფის პირადი შემადგენლობის სია საჭიროების შემთხვევაში მათი სწრაფი შეკრებისათვის; - შეისწავლონ ობიექტზე განლაგებული ყველა შენობა-ნაგებობა და ენერგომომარაგების, კანალიზაციის, წყალმომარაგებისა და საკომუნიკაციო ქსელები; 	<p>593395486</p>	

<p>ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი</p> <p>რომეო ზოსიძე - ბსუ-ს საგამოცდო ცენტრის მთავარი სპეციალისტი</p> <p>იბრაიმ ბასილაძე - ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის სანტექნიკოსი</p>	<ul style="list-style-type: none"> - სისტემატიურად უნდა ატარებდნენ, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ მეცადინეობას პირად შემადგენლობასთან. - სისტემატიურად უნდა ამოწმებდნენ, როგორც პირად ასევე ჯგუფის პირადი შემადგენლობის მუდმივ მზადყოფნას; - იცოდნენ ჯგუფის ქონების ადგილსამყოფელი, მიღებისა და გაცემის გრაფიკი; - აქტიურად მონაწილეობდნენ პრევენციული და მზადყოფნის ღონისძიებების საგანგებო გეგმით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელებაში; - იცოდნენ ობიექტზე სუსტი ადგილები, ავარიის შემთხვევაში მისი სწრაფი ლიკვიდაციის მიზნით. <p>ექსტრემალური ვითარების განვითარებისას სამაშველო ჯგუფის კორდინატორი და ჯგუფის უფროსები ვალდებული არიან:</p> <ul style="list-style-type: none"> - სწრაფად შეკრიბონ ჯგუფის პირადი შემადგენლობა. მოკლედ განუმარტონ შექმნილი ვითარება, დაუსახონ თითოეულს ამოცანები და მიიღონ საჭირო აღჭურვილობა; - სწრაფად და ენერგიულად იმოქმედონ დაზიანების კერაში დაზარალებულთა გასაყვანად და დახმარების აღმოსაჩენად. აწარმოონ ავარიის შედეგების ლიკვიდაცია; - სისტემატიურად ახსენებდეს საგანგებო 	<p style="text-align: center;">568301696</p> <p style="text-align: center;">577541018</p>	
---	--	---	--

		<p>შტაბის უფროსს გაწეული საქმიანობის შესახებ;</p> <p>ხანძრის შემთხვევაში სამაშველო ჯგუფის კორდინატორი და ჯგუფის უფროსები ვალდებული არიან:</p> <ul style="list-style-type: none"> - შეაფასონ სახანძრო ვითარება; - განსაზღვრონ ხანძრის კერის წარმოქმნისა და გავრცელების ადგილი, ყველა საშუალებების გამოყენებით განახორციელონ ცეცხლის ქრობა და მისი ლოკალიზაცია; - განსაზღვრონ ხანძრის ჩასაქრობად საჭირო ძალები და ტექნიკა, ასევე საჭირო წყლის მოწოდების საშუალებების სახეები და მათი რაოდენობა; - ადგილზე მოსულ მეხანძრე-მაშველებს მოახსენონ საქმის ვითარება და საჭიროების შემთხვევაში მათთან ერთად განაგრძონ ცეცხლის ქრობა. - განისაზღვროს უსაფრთხო ევაკუაციის მარშრუტი. 		
<p>5.</p>	<p>მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში უფლებამოსილი პირი - როლანდ ხალვაში - მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი</p>	<p>ექვემდებარება საგანგებო შტაბის უფროსს და იგი ვალდებულია:</p> <ul style="list-style-type: none"> - მიიღოს აქტიური მონაწილეობა საგანგებო მართვის გეგმის შედგენაში მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხების გათვალისწინების თვალსაზრისით; - მონაწილეობა მიიღოს პრევენციული და მზადყოფნის ღონისძიებების საგანგებო მართვის გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებების განხორციელებაში; - მოამზადოს ანგარიში რეაგირების ფორმირებების აღჭურვის მიზნით; - იცოდეს საჭირო აღჭურვილობისა და 	<p>577420113</p>	

		<p>ინვენტარის რაოდენობა, მისი შექმნისა და შენახვის პირობები;</p> <ul style="list-style-type: none"> - იცოდეს ავტოტრანსპორტის რაოდენობა, მათი ტექნიკური აღჭურვილობა და საწვავ-საცხები მასალის შენახვის პირობები. აწარმოოს მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ხარჯვის ზუსტი აღრიცხვა; - სისტემატიურად აწვდის ინფორმაციას საგანგებო შტაბის უფროსს ავტოტრანსპორტის და სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საჭირო ქონების ტექნიკურ მდგომარეობის შესახებ. 		
<p>6.</p>	<p>სამედიცინო უზრუნველყოფის დარგში უფლებამოსილი პირი ეთერ ჯაყელი - სამედიცინო პუნქტის ხელმძღვანელი</p>	<p>ექვემდებარება საგანგებო შტაბის უფროსს და იგი ვალდებულია:</p> <p>მშვიდობიან პირობებში:</p> <ul style="list-style-type: none"> - მონაწილეობდეს პრევენციული და მზადყოფნის ღონისძიებების საგანგებო მართვის გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებების განხორციელებაში; - აღმოუჩინოს პირველადი სამედიცინო დახმარება დაზიანებულ ადამიანებს; - მუდმივად ზრუნავდეს პირველადი სამედიცინო დახმარების მედიკამენტებისა და სამედიცინო საშუალებების საჭირო მარაგის შექმნაზე. <p>ექსტრემალურ ვითარებაში იგი:</p> <ul style="list-style-type: none"> - ორგანიზებას უკეთებს დაშავებულების პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას; <p>ინფორმაციას აწვდის სამედიცინო დახმარების მორიგე ჯგუფს</p>	<p>593345456</p>	

		დაშავებულების შესახებ;		
7.	<p>შემკრებ-საევაკუაციო პუნქტი (შემკრებ-საევაკუაციო პუნქტის მდებარეობა/ევაკუაციის საკითხებში საგანგებო შტაბის უფროსის თანაშემწის წარმომადგენელი):</p> <p>IV კორპუსში მყოფთათვის - მიმდებარედ არსებული გმირთა ხეივანი/ მორიგე დაცვის თანამშრომელი;</p>	<p>ევაკუაციის საკითხებში საგანგებო შტაბის უფროსის თანაშემწის წარმომადგენელი ვალდებულია:</p> <ul style="list-style-type: none"> - მოახდინოს საგანგებო მდგომარეობაში მყოფი შესაბამისი ობიექტიდან/ზონიდან ევაკუირებული ბსუ-ს თანამშრომლების, სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების და ვიზიტორების შეკრება შემკრებ-საევაკუაციო პუნქტზე; - ევაკუაციის საკითხებში საგანგებო შტაბი უფროსის თანაშემწესთან და შესაბამისი საევაკუაციო ჯგუფის უფროსთან იყოს მუდმივ კავშირზე მიაწოდოს მათ ინფორმაცია გადამოწმების შედეგად გამოვლენილ, სავარაუდოდ შენობაში დაჩენილ არაევაკუირებულ პირებზე. 		

ფაზა I: პრევენცია/მიტიგაცია – დეტალური სამოქმედო გეგმა სცენარების მიხედვით ყოველდღიური ფუნქციონირების რეჟიმში

გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N1 რისკის (ხანძარი) მიხედვით

№	ღონისძიება	შესრულების პერიოდი	პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
1	ელექტრო სისტემის გადამოწმება	თვეში ერთხელ	რომან მიქელაძე (მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის ელექტრიკოსი)	
2	ცეცხლმაქრების, მაღალი წნევის ხანძარსაწინააღმდეგო წყლის სისტემის და ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის გაკონტროლება	თვეში ერთხელ	კობა ჭანტურია	
3	დამწვრობის საწინააღმდეგო სახვევი სამედიცინო მასალის და მედიკამენტების გადამოწმება და შევსება	თვეში ერთხელ	ეთერ ჯაყელი	
4	შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა	კვარტალში ერთხელ	გოჩა სურგულაძე (ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე)	
5	შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა	კვარტალში ერთხელ	მორიგე დაცვის თანამშრომელი	

გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N2 რისკის (მიწისძვრა) მიხედვით

№	ღონისძიება	შესრულების პერიოდი	პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
1	მიწისძვრისას მოქმედებების ინსტრუქციის შემუშავება/ კორექტირება დახვეწა	პერიოდულად, საჭიროების შემთხვევაში	ედიშერ ჩავლეიშვილი	
2	შენობების კონსტრუქციისა და არსებული ფართობების ტექნიკური დათვალიერება-შემოწმება	კვარტალში ერთხელ	მერაბ ხალვაში (მთ. სპეციალისტი)	
3	დაუმაგრებელი მოძრავი ავეჯის გამოვლენა და მათი შეძლებისდაგვარად ფიქსაცია	კვარტალში ერთხელ	ნანა დონდოლაძე (მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის სპეციალისტი)	
4	შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა	კვარტალში ერთხელ	გოჩა სურგულაძე (ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე)	
5	შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა	კვარტალში ერთხელ	მორიგე დაცვის თანამშრომელი	

გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N3 რისკის (ძლიერი ქარი) მიხედვით

№	ღონისძიება	შესრულების პერიოდი	პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
1	შენობაში საოფისე ინვენტარის განთავსება იმგვარად, რომ წვიმის შემთხვევაში თავიდან იქნეს აცილებული ჩამოსული წყლის შედეგად მათი დაზიანება	კვარტალში ერთხელ	ნანა დონდოლაძე (მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის სპეციალისტი)	
2	სახურავის შემოწმება	კვარტალში ერთხელ	იბრაიმ ბასილაძე (მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის სანტექნიკოსი)	
3	შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა	კვარტალში ერთხელ	გოჩა სურგულაძე (ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე)	
4	შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა	კვარტალში ერთხელ	მორიგე დაცვის თანამშრომელი	

დანართი: N 5.4.

გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N4 რისკის (წყალდიდობა) მიხედვით

№	ღონისძიება	შესრულების პერიოდი	პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
1	ტერიტორიაზე გადამოწმდეს სანიაღვრე არხები	კვარტალში ერთხელ	მერაბ ხალვაში (მთ. სპეციალისტი)	
2	შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა	კვარტალში ერთხელ	გოჩა სურგულაძე (ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე)	
3	შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა	კვარტალში ერთხელ	მორიგე დაცვის თანამშრომელი	

გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N1 სცენარის მიხედვით

№	გასატარებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი პირი	განხორციელების ვადები	შენიშვნა
1	სტუდენტებისთვის, პროფესიული სტუდენტებისთვის, და თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლების ტრენინგები/სწავლება ხანძართან და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე	ედიშერ ჩავლეიშვილი	სექტემბერ/ოქტომბერი - თებერვალ/მარტი	
2	საევაკუაციო წვრთნა	კობა ჭანტურია	სექტემბერ/ოქტომბერი - თებერვალ/მარტი	
3	სახანძრო სისტემების ტექნიკური გამართულობის შემოწმება	კობა ჭანტურია	სექტემბერ/ოქტომბერი - თებერვალ/მარტი	
4	სახანძრო სფეროში სახანძრო-სამაშველო ჯგუფებისათვის ხანძრის ჩაქრობის იმიტირებული სწავლებების ჩატარება	კობა ჭანტურია	სექტემბერ/ოქტომბერი - თებერვალ/მარტი	
5	შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა	გოჩა სურგულაძე (ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე)	კვარტალში ერთხელ	
6	შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა	მორიგე დაცვის თანამშრომელი	კვარტალში ერთხელ	

დანართი: N 6.2.

გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N2 სცენარის მიხედვით

№	გასატარებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი პირი	განხორციელების ვადები	შენიშვნა
1	სტუდენტებისთვის, პროფესიული სტუდენტებისათვის და თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლების ტრენინგები/სწავლება მიწისძვრასთან და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე	ედიშერ ჩავლეიშვილი	სექტემბერ/ოქტომბერი - თებერვალ/მარტი	
2	საევაკუაციო წვრთნა	კობა ჭანტურია	სექტემბერ/ოქტომბერი - თებერვალ/მარტი	
3	შენობა-ნაგებობების მონიტორინგი უსაფრთხოების კუთხით	მერაბ ხალვაში	სექტემბერ/ოქტომბერი - თებერვალ/მარტი	
4	დაუმაგრებელი მოძრავი ავეჯის გამოვლენა და მათი შეძლებისდაგვარად ფიქსაცია	ნანა დონდოლაძე	კვარტალში ერთხელ	
5	სამაშველო-სახანძრო, აღჭურვილობის ვარგისიანობის შეფასება და სრულყოფა-განახლება	კობა ჭანტურია	წელიწადში ერთხელ	
6	შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა	გოჩა სურგულაძე (ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე)	კვარტალში ერთხელ	
7	შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა	მორიგე დაცვის თანამშრომელი	კვარტალში ერთხელ	

გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N3 სცენარის მიხედვით

№	გასატარებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი პირი	განხორციელების ვადები	შენიშვნა
1	სტუდენტების, პროფესიული სტუდენტებისათვის და თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლების ტრენინგები/სწავლება, ქარიშხლის და მასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე	ედიშერ ჩავლეიშვილი	სექტემბერ/ოქტომბერი - თებერვალ-მარტი	
2	საევაკუაციო წვრთნა	კობა ჭანტურია	სექტემბერ/ოქტომბერი - თებერვალ-მარტი	
3	შენობა-ნაგებობის მონიტორინგი უსაფრთხოების კუთხით	მერაბ ხალვაში (მთ. სპეციალისტი)	კვარტალში ერთხელ	
4	შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა	გოჩა სურგულაძე (ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე)	კვარტალში ერთხელ	
5	შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა	მორიგე დაცვის თანამშრომელი	კვარტალში ერთხელ	

გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N4 სცენარის მიხედვით

№	გასატარებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი პირი	განხორციელების ვადები	შენიშვნა
1	სტუდენტების, პროფესიული სტუდენტებისათვის და თანამშრომლებისთვის ცნობიერების ამაღლების ტრენინგები/სწავლება დატბორვასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე	ედიშერ ჩავლეიშვილი	სექტემბერ/ოქტომბერი - თებერვალ/მარტი	
2	სახანძრო-სამაშველო ჯგუფებისათვის დატბორვის შემთხვევაში მოქმედების შესახებ სწავლებების ჩატარება	ედიშერ ჩავლეიშვილი	სექტემბერ/ოქტომბერი - თებერვალ/მარტი	
3	საევაკუაციო წვრთნა	კობა ჭანტურია	სექტემბერ/ოქტომბერი - თებერვალ/მარტი	
4	ტერიტორიაზე გადამოწმდეს სანიაღვრე არხები	მერაბ ხალვაში (მთ. სპეციალისტი)	კვარტალში ერთხელ	
5	შშმ პირებისთვის კონკრეტული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის ზომების დადგენა	გოჩა სურგულაძე (ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე)	კვარტალში ერთხელ	
6	შშმ პირების დამხმარე პერსონალის არყოფნისას მათი ჩამნაცვლებლების განსაზღვრა	მორიგე დაცვის თანამშრომელი	კვარტალში ერთხელ	

გასატარებელი ღონიძიებების აღწერა N1 სცენარის მიხედვით

№	ღონიძიება	შესრულების პერიოდი	პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
1	განგაშის გამოცხადება და სამაშველო ჯგუფის გამოძახება ტელეფონით, ნომერზე: 112	„სთ+5 წთ“	საგანგებო შტაბი უფროსის თანაშემწე კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ხაზით	დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვის მიზნით
2	საევაკუაციო გეგმის მიხედვით პერსონალისა და სტუდენტების ევაკუაცია უსაფრთხო ადგილამდე	„სთ+10 წთ“	საგანგებო შტაბი უფროსის თანაშემწე ევაკუაციის საკითხებში	დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვის მიზნით
3	ხანძრის ქრობაში ჩართვა	„სთ+5 წთ“	სამაშველო ჯგუფის უფროსი	დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვის მიზნით
4	ევაკუირებული პერსონალისა და სტუდენტების აღრიცხვა	„სთ+1 სთ“	საგანგებო შტაბი უფროსის თანაშემწე ევაკუაციის საკითხებში	დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვის მიზნით
5	სამაშველო ძალების დახვედრა და მათი ინფორმირება ადგილზე შექმნილი საგანგებო ვითარების შესახებ	„სთ+5 წთ“	საგანგებო შტაბი უფროსის	დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვის მიზნით
6	შშმ პირისა და მისი დამხმარე პერსონალისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენა სხვა პასუხისმგებელი პირების მხრიდან	„10 წთ“	მორიგე დაცვის თანამშრომელი	დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვის მიზნით

გასატარებელი ღონიძიებების აღწერა N2 სცენარის მიხედვით

№	ღონისძიება	შესრულების პერიოდი	პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
1	განგაშის გამოცხადება და სამაშველო ჯგუფის გამოძახება ტელეფონით, ნომერზე: 112	„სთ+5 წთ“	საგანგებო შტაბი უფროსის თანაშემწე კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ხაზით	დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვის მიზნით
2	საევაკუაციო გეგმის მიხედვით პერსონალისა და სტუდენტების ევაკუაცია უსაფრთხო ადგილამდე	„სთ+10 წთ“	საგანგებო შტაბი უფროსის თანაშემწე ევაკუაციის საკითხებში	დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვის მიზნით
3	სამაშველო საქმიანობებში ჩართვა	„სთ+5 წთ“	სამაშველო ჯგუფის უფროსი	დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვის მიზნით
4	ევაკუირებული პერსონალისა და სტუდენტების აღრიცხვა	„სთ+1 სთ“	საგანგებო შტაბი უფროსის თანაშემწე ევაკუაციის საკითხებში	დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვის მიზნით
5	სამაშველო ძალების დახვედრა და მათი ინფორმირება ადგილზე შექმნილი საგანგებო ვითარების შესახებ	„სთ+5 წთ“	საგანგებო შტაბი უფროსის	დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვის მიზნით
6	შშმ პირისა და მისი დამხმარე პერსონალისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენა სხვა პასუხისმგებელი პირების მხრიდან	„10 წთ“	მორიგე დაცვის თანამშრომელი	დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვის მიზნით

გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N3 სცენარის მიხედვით

№	ღონისძიება	შესრულების პერიოდი	პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
1	განგაშის გამოცხადება და სამაშველო ჯგუფის გამოძახება ტელეფონით, ნომერზე: 112	„სთ+5 წთ“	საგანგებო შტაბი უფროსის თანაშემწე კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ხაზით	დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვის მიზნით
2	ინფორმაციის მიღება, გადამუშავება, საგანგებო ვითარების შეფასება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა	„სთ+5 წთ“	საგანგებო შტაბი უფროსის თანაშემწე ევაკუაციის საკითხებში	დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვის მიზნით
3	სამაშველო საქმიანობებში ჩართვა	„სთ+5 წთ“	სამაშველო ჯგუფის უფროსი	დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვის მიზნით
4	სამაშველო ძალების დახვედრა და მათი ინფორმირება ადგილზე შექმნილი საგანგებო ვითარების შესახებ	„სთ+5 წთ“	საგანგებო შტაბი უფროსის	დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვის მიზნით
5	შშმ პირისა და მისი დამხმარე პერსონალისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენა სხვა პასუხისმგებელი პირების მხრიდან	„10 წთ“	მორიგე დაცვის თანამშრომელი	დრო მითითებულია პირობითად აქტივობებს შორის ინტერვალის დაცვის მიზნით

